www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 3 სექტემბერი, 2013 წელი. | №3356 (163) | ფასი 50 თეთრი

ივანიშვილი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მიდის

პოლიტიკიდან წასვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ გამოქვეყნებულ ღია წერილში კიდევ ერთხელ ახსნა. როგორც ივანიშვილი ამბობს, ხელისუფლებაში მისი მოსვლის მიზეზი საზოგადოების დაცვა იყო, რაც, მისი აზრით, წარმატებით განხორციელდა. ივანიშვილის წარმოდგენით, დღეს საქართველოში ხელისუფლება ყველა წინამორბედზე უკეთესია და საზოგადოებაც ხელისუფლების თვითნებობისგან ყველაზე მეტად არის დაცული. მაგრამ, ივანიშვილი აღნიშნავს, რომ საზოგადოება ხელისუფლების კეთილი ნების იმედად და მუდმივად მხსნელისა თუ მესიის მოლოდინში არ უნდა იყოს.

პრემიერს მიაჩნია, რომ საზოგადოების ხსნა მის ეფექტურობაში, მაღალი პასუხისმგებლობის უნარსა და პოლიტიკურ სიმწიფეშია. მისი აზრით, საზოგადოებამ უნდა მონახოს მექანიზმი, რომლითაც ხელისუფლებას გააკონტროლებს და მას პარტნიორობას გაუწევს. **„ჩემი პირადი მაგალითით მინდა, საზოგადოებას დავანახო, რომ აუცილებელია, იყო ადეკვატური გამოწვევებისა და კონკრეტული რეალობის მიმართ. ორი წლის წინ ჩვენს ქვეყანას სულ სხვა გამოწვევა ჰქონდა და მეც იქ დავდექი, სადაც ყველაზე მეტის გაკეთება შემეძლო. დღეს ქვეყანა სულ სხვა გამოწვევის წინაშე დგას და მეც ამ გამოწვევის შესაბამისად უნდა მოვიქცე,“** - აღნიშნავს ივანიშვილი და დღევანდელ რეალობაში თავისი საჯარო ფუნქციის სამ მიმართულებას ასახელებს - სახელისუფლებო (ქვეყნის პრემიერ-მინისტრი); პოლიტიკური (კოალიცია «ქართული ოცნების“ ლიდერი); საზოგადოებრივი (აქტიური

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

„დიპლომატიური სამსახური ქვეყნის სამსახურშია და არა რომელიმე პოლიტიკური ძალის“

სასტუმრო „რედისონში“ ამბასადორიალმა დაიწყო მუშაობა. სამდღიან შეხვედრას, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად, უცხოეთში საქართველოს ელჩებიც ესწრებიან.

შეხვედრა გახსნა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ. შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა. ამბასადორიალის მუშაობაში სრული შემადგენლობით მონაწილეობს მინისტრთა კაბინეტიც.

მაია ფანჯიკიძემ სიტყვით გამოსვლისას შეშფოთება გამოთქვა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაციის გამო. ფანჯიკიძის განცხადებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკონტროლო, „შავი ხვრელების“ არსებობა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სამხრეთ კავკასიის მეზობელ რეგიონს, ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ჩათვლით.

საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ევროინტეგრაციის მნიშვნელობაზეც გააკეთა აქცენტი და აღნიშნა, რომ საქართველოსთვის ევროკავშირი და ნატო უპირველესი პრიორიტეტია. მისივე თქმით, ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, ევროინტეგრაციისკენ სწრაფვა უცვლელია.

ფანჯიკიძის თქმით, საქართველოს მთავრობა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტისთვის ინტენსიურად ემზადება, რათა ამ სამიტზე კონკრეტული შედეგებით წარდგეს. **„ვფიქრობ, ვილნიუსის სამიტი გარდამტეხ მოვლენად უნდა იქცეს,“** - მიიჩნევს მინისტრი.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

სირიაზე დარტყმის თარიღი უცნობია

მხარეები გამალებული ემზადებიან ომისთვის

ივა შილაკაძე

პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ შაბათს გამოაცხადა, რომ სირიის ხელისუფლების დასჯის მიზნით, მის მიერ საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენების გამო, აშშ შეზღუდულ სამხედრო ოპერაციას გეგმავს, რომელიც სახმელეთო ოპერაციას არ გულისხმობს. თუმცა ობამამ გაითვალისწინა ის, რომ გაეროს სანქციის გარეშე ამ ოპერაციის წინააღმდეგია საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობაც და მასში მონაწილეობას არ აპირებს ამერიკის მოკავშირეების დიდი ნაწილიც.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

წინასაარჩევნო ტელედებატები მერკელის კურიოზით

გერმანიაში პირველ სექტემბერს, საპარლამენტო არჩევნებამდე სამი კვირით ადრე, მოქმედ კანცლერ ანგელა მერკელსა და მის მთავარ კონკურენტს, «სოციალ-დემოკრატიული პარტიის» კანდიდატ პერ შტაინბრუკს შორის ტელედებატები გაიმართა. არჩევნები 22 სექტემბერს არის დანიშნული. ანგელა მერკელი, მისი ბლოკის (პარტიების «ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის» და «ქრისტიანულ-სოციალური კავშირის» გაერთიანება) გამარჯვების შემთხვევაში, მესამე ვადით გახდება გერმანიის კანცლერი.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓	
1 ევრო	2.2110⇓	
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓	
1 თურქული ლირა	0.8622⇓	
100 რუსული რუბლი	5.0433⇓	
თბილისი	31°C - 20°C	
ქუთაისი	33°C - 20°C	
ზუგდიდი	32°C - 21°C	
ბათუმი	27°C - 21°C	
ნავთობი	3.19	+0.00 +0.16%
გაზი	3.58	+0.11 +3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80 -0.56%
ხორბალი	868.50	+12.25 +1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

რიოს გუნდური კარნავალი

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები მსოფლიო ჩემპიონია

გიგა გურასაშვილი

საქართველოს საფეხბურთო ნაკრებით გაწბილებულებს არაერთხელ გვითქვამს, გუნდური სახეობები საჩვენო არააო, მაგრამ ამას მხოლოდ სიბრაზით თუ ვამბობდით. რაგბიც გუნდურია და კალათბურთიც, მაგრამ ვთამაშობთ გუნდურად და მსოფლიო თასსა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებზე გავდივართ.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ოქრუაშვილმა ოქროს წერტილი დასვა

სულებს გაყოლილი ჰაიაო მიაძაკი

სტუდია «გიბლის» მთავარი რეჟისორი მუშაობას წყვეტს

ია ვეკუა

7 სექტემბერს ვენეციაში 70-ე კინოფესტივალის საზეიმო დახურვა გაიმართება. ბერნარდო ბერტოლუჩის თავმჯდომარეობით მომუშავე ჟიური საუკეთესო ფილმს, ასევე რეჟისორსა და მსახიობებს დაასახელებს. არ არის გამორიცხული, წელს პრეცედენტი შედგეს და «ოქროს ლომის» მფლობელი ანიმაციური ფილმი გახდეს და ეს ფილმი «ქარი ძლიერდება» იქნება. თუ ასე მოხდება, მაშინ ეს ფილმის ავტორის, ანიმატორ ჰაიაო მიაძაკის დიდი კინოდან გაცილების საუკეთესო ჟესტი იქნება.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე



ივანიშვილი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მიდის

„ვაპირებ, უარი ვთქვა პირველ და მეორე (სახელისუფლებო და პოლიტიკურ) **ფუნქციებზე და მთელი გამოთავისუფლებული რესურსი მოვახმარო მესამე** (საზოგადოებრივ) **ფუნქციას. ამას ვაპირებ იმიტომ, რომ პირველი** (სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის) **და მეორე** (მრავალპარტიული დემოკრატიის) **მიმართულებით ჩემი მოკრძალებული როლი უკვე შევასრულე და მჯერა, რომ ჩემი გუნდის წევრები დაწყებულ საქმეს ჩემ გარეშე უფრო უკეთ გაართმევენ თავს. აი, მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებით კი საკეთებელი უამრავია, გამკეთებელი ცოტაა და პირადად მე, გარკვეული გარემოებების გამო, შემიძლია, ბევრი გავაკეთო. ამრიგად, მე სადმე სხვაგან“ კი არ მივდივარ, არამედ აქვე“ ვრჩები და მხოლოდ ჩემი საზოგადოებრივი ფუნქციებისა და როლის ოპტიმიზაციას ვაპირებ, რათა, ჯერ ერთი, დავიხარჯო იქ, სადაც დღეს ყველაზე მეტად ვჭირდები ქვეყანას და მეორე, პოლიტიკურ პარტნიორებსა და თანამოაზრეებს გადავუნაწილო ის ძალაუფლება და პასუხისმგებლობა, რომლის გარეშეც ქვეყანა კვლავ ერთ კაცზე ჩამოკიდებული დარჩება და ისევ მოჯადოებულ წრეზე გააგრძელებს ტრიალს,“** - აღნიშნავს ივანიშვილი.

ივანიშვილი წერილში თავისი დღევანდელი საჯარო ფუნქციების შესახებ დეტალურად საუბრობს და აღნიშნავს, სამივე მიმართულებით მალე რა შეიცვლება.

„მე, როგორც მთავრობის მეთაურმა, აქტიური მონაწილეობა მივიღე თითოეული სამინისტროს სტრატეგიული საკითხების ჩამოყალიბებაში და ამ სტრატეგიის ფარგლებში თითოეულ მინისტრს მივეცი მოქმედებისა და გადაწყვეტილებების მიღების სრული თავისუფლება. დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ მე ძირითადი პარამეტრების შესრულების კონტროლით ვარ დაკავებული და ყველა მინისტრი თავად უძღვება მისთვის მინდობილ საქმეს.

ახალი პრემიერ-მინისტრი, რომელსაც საკუთარ გუნდსა და საზოგადოებას შევთავაზებ, გარწმუნებთ, ძალიან საინტერესო პიროვნება იქნება, რომელიც წარმატებით გაართმევს თავს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს.

მე ვიძლევი გარანტიას, რომ მთავრობა დარჩება ქმედითი, ევროპული ტიპის, არაკორუმპირებული და ქვეყანას სწორი მიმართულებით წაიყვანს. თუმცა, გარანტია, როგორც წესი, რამით უნდა იყოს გამყარებული. ჩემს შემთხვევაში კი ცოტა რთულადაა საქმე, რადგან იმ თანამდებობით ვარ პასუხისმგებელი, რომლის დატოვებასაც ვაპირებ. ამიტომ რჩება მარტო ჩემი პატიოსანი სიტყვა, რომელსაც მე ისეთივე მნიშვნელობას ვანიჭებ, როგორსაც ჩვენი წინაპრები ანიჭებდნენ,“ - ირწმუნება პრემიერ-მინისტრი.

რაც შეეხება კოალიციის პოლიტიკური ლიდერობის საკითხს, ივანიშვილის აზრით, დღეს აღარავის ეპარება ეჭვი, რომ კოალიცია «ქართული ოცნების“ მშენებლობის მიზანი სახელმწიფოსთან შეზრდილი მორიგი სუპერპარტიის შექმნა კი არა, მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბება იყო. **„კოალიცია ქართული ოცნება“ არის არა ჩემი პარტია“, არამედ მასში შემავალი პარტიების კოალიცია. ასეთ ვითარებაში პოლიტიკური ძალაუფლებაც და პასუხისმგებლობაც ეკუთვნის არა კოალიციის ლიდერს, არამედ კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს და ამ პარტიების ლიდერებს. ამიტომ, დღევანდელი მმართველი კოალიციის ლიდერის წასვლა არ შეიძლება შევადაროთ დღემდე არსებული მმართველი პარტიების ლიდერების წასვლას. ჩვენ კოალიცია ქართული ოცნება“ შევქმენით, მინიმუმ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ვადით და იგი არანაკლები ვადით იარსებებს ჩემი წასვლის შემდეგაც. მე კარგად ვაცნობიერებ ჩემს როლს კოალიციის შექმნასა და მის წარმატებაში, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, თუ რა კრიტერიუმებით შევარჩიე თანამებრძოლები, ვინ არიან ისინი და როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს,“** - აღნიშნავს ბიძინა ივანიშვილი.

პრემიერი მიუთითებს, რომ მისი ინტერესის ვექტორი საზოგადოებისკენაა მიმართული და თავის ფუნქციად ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბება მიაჩნია, რომელიც, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობით აკეთებს არჩევანს და არჩევნებში აფიქსირებს თავის პოზიციას, როგორი ქვეყანა სურს მას, ხოლო მეორე მხრივ, არჩევნების შემდეგ მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს არჩეული მთავრობის ეფექტურობას. დღეს კი, ივანიშვილის აზრით, საზოგადოებაში ემოციური პატრიოტიზმის დომინირების პირობებში მოქალაქეები არჩევნებში ემოციურ პოზიციას აფიქსირებენ, თუ როგორ ქვეყანაში აღარ სურთ ცხოვრება არჩევნების შემდეგ; როგორც ივანიშვილი აღნიშნავს, არჩევნების შემდეგ საზოგადოება ან ნიჰილიზმის ჭაობში ეფლობა, ან ხელისუფლების დაუყოვნებლივ შეცვლას ცდილობს, ორივე შემთხვევაში კი ავტორიტარიზმის და სახელისუფლებო განუკითხაობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. **„იმას, რომ დღემდე საქართველოში ემოციური პატრიოტიზმი მეფობს, ადასტურებს ხელისუფლების არჩევისა თუ შეცვლის აქამდე არსებული ყველა შემთხვევა, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ჩათვლით. გავუსწოროთ თვალი სიმართლეს და ვაღიაროთ, რომ თქვენ ჩვენ აგვირჩიეთ გულისა და ემოციის კარნახით და არა ჩვენი პროგრამის გამო,“** - შენიშნავს პრემიერი.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მთავრობის მეთაურად მისი დარჩენა მომავლისთვის არათუ სასარგებლო, არამედ საზიანო იქნება, რადგან კი არ დაჩქარდება, არამედ შენელდება და მინავლდება ის, რისი საჭიროებაც იგრძნო საზოგადოებამ ბოლო 22 წლის განმავლობაში მოჯადოებულ წრეზე ტრიალით, - ეს არის საკუთარი პასუხისმგებლობის შეგრძნებით აღსავსე სამოქალაქო სექტორის ჩამოყალიბება.

სკეპტიკოსებისთვის ივანიშვილი დამატებით განმარტებას აკეთებს. პრემიერი დარწმუნებულია, რომ ამის საჭიროება არ დადგება, თუმცა თუ აუცილებლობა მოითხოვს, აქტიურ პოლიტიკას დაუბრუნდება.

რაც შეეხება წასვლის დროს, პრემიერი საზოგადოების ინფორმირებას წინასწარ, მას შემდეგ აპირებს, რაც საპრეზიდენტო არჩევნების წარმატებით დასრულებაში დარწმუნდება. **„მჯერა, რომ ამ არჩევნებში პირველივე ტურში გაიმარჯვებს კოალიციის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი,“** - აცხადებს ივანიშვილი.

ივანიშვილის გადაწყვეტილებას საპარლამენტო უმცირესობაში უარყოფითად აფასებენ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე დარწმუნებულია, რომ პრემიერის განზრახვა ქვეყნისთვის სერიოზულ რისკებს შეიცავს. ბაქრაძის აზრით, ქართული ეკონომიკისთვის, რომელიც ისედაც ღრმა კრიზისის მდგომარეობაშია, ასეთი ტიპის განცხადება ძალიან სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, რადგან არასტაბილურობის განცდას აძლიერებს და ნებისმიერი უცხოელი ინვესტორის ან ქართველი ბიზნესმენისთვის, რომელიც ქვეყანაში ბიზნესის დაწყებას გეგმავს, რამდენიმეთვიან გაურკვევლობას ნიშნავს. მისი თქმით, ასეთი ტიპის განცხადება ქვეყნისთვის ეკონომიკური კრიზისის საფრთხის შემცველია.

მეორე ფაქტორი, რის გამოც ბაქრაძე პრემიერის გადაწყვეტილებას უარყოფითად აფასებს, „ქართული ოცნების“ მიერ გაცემულ წინასაარჩევნო დაპირებებს ეხება. **„დასამალი არ არის, რომ ქართველი ხალხის თვალში ეს დაპირებები და მათი შესრულება, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილის სახელს უკავშირდება. ამ დაპირებების დიდი ნაწილი დღემდე შეუსრულებელია. მაგალითისთვის დავასახელებდი ასი გადამამუშავებელი საწარმოს შექმნას, 230-ლარიან პენსიას, იპოთეკარების დახმარებასა და კრედიტების დაფარვას. პრემიერ-მინისტრის წასვლა ნიშნავს იმას, რომ ეს დაპირებები დაპირებებად დარჩება და მოსახლეობა ვერ მიიღებს იმას, რის გამოც კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მისცა ხმა,“** - ამბობს ბაქრაძე.

კიდევ ერთი ფაქტორი, როგორც ბაქრაძე ამბობს, ხელისუფლების დეფიციტის საფრთხეა, რადგან ქვეყანა ძალიან სერიოზული საგარეო გამოწვევის წინაშე დგას. „ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთის მხრიდან მცოცავი ოკუპაცია გრძელდება. ორი რეგიონი ოკუპირებულია, ნუ დაგვავიწყდება, რომ სირიის კრიზისს შესაძლოა, სერიოზული გავლენა ჰქონდეს რეგიონსა და ქვეყანაზე, ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოში არსებობს შიდა სტაბილურობის პრობლემა. იმ პირობებში, როცა კოალიციაში შემავალ პარტიებს მთელ რიგ საკითხებში ძირეულად განსხვავებული ხედვა გააჩნიათ, ამ ყველაფრის გარანტორი ლეგიტიმურად ყველაზე მაღალი მხარდაჭერით არჩეული პრემიერ-მინისტრია. მისი წასვლის შემთხვევაში, ვშიშობ, ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღების დეფიციტი შეიქმნება, რაც ქვეყანაზე უარყოფითად აისახება და არასტაბილურობას და ქაოსის განცდას გააძლიერებს,“ - მიიჩნევს დავით ბაქრაძე.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე გოკა გაბაშვილის თქმით, ბიძინა ივანიშვილმა ყველაზე უკეთესად იცის, რომ მის მიერ გაცემული დაპირებები შესრულებადი არ არის. როგორც გაბაშვილი აღნიშნავს, ივანიშვილის ყველა დაპირება ტყუილი აღმოჩნდა, შესაბამისად, ის დგამს ნაბიჯს, რომლითაც პასუხისმგებლობას გაურბის.

საპარლამენტო უმცირესობის წევრ აკაკი მინაშვილის აზრით, ივანიშვილი ამ წერილით საკუთარი კოალიციის წევრებს მიმართავს, რათა გააგებინოს, რომ მისი წასვლა-არწასვლის საკითხით ტვინს ნუ უჭამენ. მეორე მხრივ, მინაშვილის თქმით, მკაფიოდ გამოჩნდა, რომ ივანიშვილმა თავისი დანაპირები ვერ შეასრულა, პირიქით - ქვეყანა ქაოსში მოაქცია. **„ივანიშვილის განცხადება ნიშნავს იმას, რომ მას ამ პრობლემების ეშინია და გარბის,“** - დასძენს მინაშვილი.

„რესპუბლიკური პარტიის“ წევრი დავით ზურაბიშვილი პოლიტიკიდან ივანიშვილის წასვლის საკითხს „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ეხმიანება და საქართველოს პრეზიდენტების შემთხვევებს იხსენებს. **„ზვიადი ამბობდა: მე თუ წავედი, ბანდიტები და ყაჩაღები მოვლენო. გვარდიელები და მხედრიონელები ამბობდნენ: ჩვენ რომ წავიდეთ, მოვა შევარდნაძე და ესენგეში შეგვიყვანსო. შევარდნაძე ამბობდა: მე კი წავალ სახლში, მაგრამ მიშა ისეთ დღეში ჩაგაგდებთ, მოგენატრებათ მამათიო. მიშა ამბობდა: მე თუ წავედი, რაც ამ ქვეყანაში ნაგავია, ყველა ისევ ამოტივტივდებაო.**

ჰოდა, აქამდე ხომ ყველამ გაართყა და ახლა კი ბიძინა ამბობს: მე რომ წავალ, ყველაფერი კარგად იქნებაო და, ეგება და, თვალი არ ეცეს, თვალი!..“ - პოსტავს განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე.

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ თანადამფუძნებელი ელენე ხოშტარია „24 საათთან“ საუბარში პრემიერის გადაწყვეტილებას პასუხისმგებლობისგან გაქცევად აფასებს. ხოშტარიას აზრით, ვერანაირი არგუმენტი ვერ პასუხობს იმას, რომ ადამიანებმა ივანიშვილს მანდატი 4 წლით მიანიჭეს, ამომრჩევლისგან იყო მოლოდინი, რომ ის სწორედ ამ პოზიციიდან შეასრულებდა დაპირებებს. ხოშტარიას თქმით, ერთ წელიწადში ამ პასუხისმგებლობის მოხსნა აბსოლუტურად გაუგებარია. **„ასეთი გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში საზიანო იქნებოდა, მაგრამ ვითარებას ისიც ართულებს, რომ ივანიშვილი ის ადამიანია, რომლის გამოც კოალიციას ნდობა გამოუცხადეს.**

ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის გარშემო არიან გაერთიანებულნი, თავიანთ პოლიტიკურ ცხოვრებაში ყოველთვის წარუმატებლები იყვნენ. ხელისუფლებაში კოალიციის მოსვლის განმსაზღვრელი სწორედ ივანიშვილის ფაქტორი იყო. ახლა კი მისი წასვლა, ბუნებრივია, უპასუხისმგებლოა. კოალიციაში აბსოლუტურად განსხვავებული შეხედულებებისა და იდეოლოგიის პარტიებია გაერთიანებული. პრემიერის წასვლის შემდეგ ჩვენი მომავალი ბურუსით იქნება მოცული, გაურკვეველი რჩება, რომელი იდეოლოგიის ძალა წამოიწევს წინ და რომელი იქნება განმსაზღვრელი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში,“ - აღნიშნავს ელენე ხოშტარია.

ქართული საზოგადოების განვითარების შესახებ ივანიშვილის განცხადებები კი, ხოშტარიას აზრით, არადემოკრატიული და მცდარია. **„შეიძლება, ფიქრობდე, რომ საზოგადოებას განვითარება სჭირდება, მაგრამ ეს ერთი ადამიანის მცდელობა არ უნდა იყოს. რაღაც საშუალებებით საზოგადოების გაზრდის ხელოვნური პროცესები აბსოლუტურად არადემოკრატიული და გაუმჭვირვალეა. საზოგადოების განვითარებას დემოკრატიული და სამართლიანი პირობები სჭირდება, რომელსაც ხელისუფლება ქმნის. ივანიშვილს კი, როგორც ხელისუფლებაში მყოფ ადამიანს, ეს პასუხისმგებლობა გააჩნდა,“** - თქვა ხოშტარიამ.

ელენე ხოშტარიას აზრით, მეორეხარისხოვანია ის, თუ როგორი პიროვნებაა ივანიშვილი და რა დამოკიდებულება აქვს მას ძალაუფლებასთან. **„ივანიშვილის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ხომ არ ვაფასებთ, რომელსაც ხელისუფლების დათმობა შეუძლია,“** - შენიშნავს ხოშტარია. მისი თქმით, მთავარია პოლიტიკური ლიდერის ნაბიჯი, რომელსაც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენა ექნება.

ხოშტარიას მიაჩნია, რომ პოლიტიკიდან წასვლის შესახებ გაკეთებული განცხადება კითხვებს აჩენს კოალიციის ქმედუნარიანობის მიმართ. **„ამით რადიკალურ და ქვეყნისთვის სახიფათო, ანტისახელმწიფოებრივ ძალას, ნინო ბურჯანაძეს მეტი შანსი ეძლევა. პირდაპირ ვიტყვი, რომ რუსეთთან ურთიერთობების და საქართველოს შიდა პროცესების შესახებ ბურჯანაძის მოსაზრებები ქვეყნისთვის დამღუპველია. ამ პირობებში, როდესაც მთავარი პოლიტიკური ძალა პოლიტიკური სცენიდან ნებაყოფლობით მიდის, ბუნებრივია, ეს ხელს შეუწყობს ყველანაირ ბნელ და არასასურველ პროცესს, მათ შორის ნინო ბურჯანაძის შესაძლო გაძლიერებას,“** - ამბობს ელენე ხოშტარია. მისი ვარაუდით, თუ ივანიშვილი ამ ნაბიჯს შეგნებულად დგამს, შედეგზე დიდ პასუხისმგებლობას გაიზიარებს, თუმცა, მისი თქმით, შეიძლება, ეს მას გამიზნული არ ჰქონდეს, მაგრამ შედეგი იგივე იქნება.

ფრაქცია „ქართული ოცნება - თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანისთვის პრემიერის განზრახვა გასაგებია. როგორც ჩიქოვანი ამბობს, პრემიერის წერილში შეფასებულია ის ვითარება, რაც პოლიტიკაში მის მოსვლას უძღოდა წინ. ჩიქოვანის თქმით, საზოგადოებისთვის თავიდანვე ცხადი იყო, რომ პრემიერი პოლიტიკაში პერმანენტულად დარჩენას არ აპირებდა, მან ამის შესახებ პირველ წერილშიც მიუთითა. როგორც ჩიქოვანი აღნიშნავს, პრემიერის გადაწყვეტილებას თან ახლავს ის გარემოება, რომ პოლიტიკიდან წასვლის შემთხვევაში ის საქართველოში აქტიურ მოქალაქედ დარჩება, ეს კი მას საშუალებას მისცემს, ქვეყნის განვითარებას სხვა მხრიდან დაეხმაროს.

ჩიქოვანის თქმით, პრემიერის განცხადებას ინტერპრეტაციები არ სჭირდება. **„პრემიერი ფარდის მიღმა არაფერს ტოვებს. ყველასთვის ყველაფერი ნათელია,“** - აღნიშნავს უმრავლესობის წევრი.

ირაკლი ჩიქოვანი დარწმუნებულია, რომ პრემიერის გადაწყვეტილების მიუხედავად, კოალიცია გაცემულ დაპირებებს ბოლომდე შეასრულებს. დეპუტატი პოლიტიკური კოალიციის დაშლის ან ტრანსფორმირების საფრთხეს ვერ ხედავს. ამასთან, ჩიქოვანის აზრით, პრემიერის გადაწყვეტილება კოალიციას და კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატს ძალას ჰმატებს.

პრემიერის ღია წერილი მინისტრთა კაბინეტის წევრებმა შეაფასეს. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი ამბობს, რომ ივანიშვილი მხოლოდ პოლიტიკიდან მიდის და არა საქართველოდან, რაც მისი ნებაა. **„მინდა, ყველას შევახსენო, რომ ბატონი ბიძინა არ დაბადებულა პრემიერ-მინისტრად, ამაში ტრაგედია არ არის, არამედ პირიქით, სულ მალე ყველა ვნახავთ, რომ მისი ახალი ამპლუა უფრო ეფექტური იქნება და მნიშვნელოვნად მოემსახურება ქართული საზოგადოების და სახელმწიფო ინტერესებს,“** - თქვა ზაქარეიშვილმა. სახელმწიფო მინისტრი ასევე დადებითად აფასებს იმას, რომ საქართველოში მესიის იმედზე ყოფნა უნდა დასრულდეს. **„დასრულდა დრო, როცა საზოგადოება ერთ ადამიანზეა ჩამოკიდებული და ერთი ადამიანის იმედი აქვს,“** - აღნიშნავს ზაქარეიშვილი.

ზაქარეიშვილისთვის ივანიშვილის სავარაუდო შემცვლელის ვინაობა უცნობია.

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილის თქმით კი, ივანიშვილმა არაერთგზის დაადასტურა და დაამტკიცა, რომ ყველა მისი ნაბიჯი ძალიან ზუსტად იყო გათვლილი. **„დარწმუნებული ვარ, ის ამ ყველაფერს იმისთვის აკეთებს, რომ ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო უკეთესად იყოს და ჩვენმა ხალხმა უკეთესად იცხოვროს,“** - აღნიშნავს ღარიბაშვილი.

ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახი კალაძე პრემიერის ღია წერილს განცხადებით გამოეხმაურა. როგორც კალაძე აღნიშნავს, პრემიერის სავარძლის დატოვება ბატონი ბიძინას პოლიტიკიდან წასვლას არ ნიშნავს. კალაძის თქმით, ივანიშვილი მთავრობის მეთაურის ყოველდღიური, ძალიან დატვირთული რეჟიმიდან გათავისუფლდება, რაც მას ქვეყნისთვის ყველაზე პრიორიტეტულ საკითხებზე მეტი ფოკუსირების საშუალებას მისცემს.

კალაძე ხელისუფლების მომავალი საქმიანობის შესახებაც საუბრობს და აღნიშნავს, რომ ქვეყნის სტაბილურობაზე, მართვასა და განვითარებაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ აქვს აღებული. მისი თქმით, არჩევნებამდეც და არჩევნების შემდეგაც ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება კოალიციის პოლიტიკური საბჭოს ფორმატში მიიღებოდა, უდიდესი როლის მიუხედავად, ივანიშვილი გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად არასდროს იღებდა.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვკ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ზურაბ ხარატიშვილმა აქტიური საარჩევნო კამპანია დაიწყო

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ, ამჯერად პრეზიდენტობის კანდიდატმა ზურაბ ხარატიშვილმა 2 სექტემბრიდან აქტიური საარჩევნო კამპანია დაიწყო.

ხარატიშვილმა საარჩევნო ოფისის ხელმძღვანელად ედპ-ს ერთ-ერთი ლიდერი გურამ ჩახვაძე, მის მოადგილედ კი გიორგი კობერაშვილი წარადგინა.

ზურაბ ხარატიშვილის თქმით, მთავარია პასუხისმგებლობა, რაც მის პოლიტიკურ გუნდს სხვებისგან გამოარჩევს.

„ვფიქრობთ, ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ, ამომრჩევლის მოთხოვნები, სურვილები გავითვალისწინოთ და მაქსიმალურად წარვმართოთ ჩვენი საარჩევნო კამპანია იმისკენ, რომ ეს ყველაფერი კარგად იყოს ორგანიზებული და მოწესრიგებული,“ - განაცხადა ხარატიშვილმა.

გურამ ჩახვაძის თქმით, საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა თავიანთი ხედვის ქართული საზოგადოებისთვის მიწოდება იქნება.

„თუ როგორ წარმოგვიდგენია ახალი პოლიტიკური რეალობა, როცა გადავდივართ საპარლამენტო რესპუბლიკაზე. ზურაბ ხარატიშვილი არაპარტიულია და იგი, როგორც ზეპარტიული პრეზიდენტი, ანგარიშვალდებული იქნება, პირველ რიგში, საკუთარი ხალხის წინაშე. არჩევის შემთხვევაში გახდება ყველა მოქალაქის პრეზიდენტი და არა რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ინტერესთა დამცველი,“ - ამბობს ჩახვაძე და დასძენს, რომ პოლიტიკური დაპირისპირების შემთხვევაში ზურაბ ხარატიშვილი იქნება არა მხარე, არამედ მიუკერძოებელი არბიტრი.

ხარატიშვილი მოსახლეობასთან შეხვედრებს ზუგდიდიდან დაიწყებს. პრეზიდენტობის კანდიდატი ზუგდიდელებს დღეს, 3 სექტემბერს შეხვდება, 4 სექტემბერს კი ბათუმს ეწვევა.

ცნობისათვის - ზურაბ ხარატიშვილმა ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობა საპრეზიდენტო არჩევნებამდე, დაახლოებით, ორი თვით ადრე დატოვა, თუმცა განაცხადა, რომ გადადგომის შესახებ პრემიერ-მინისტრს და პრეზიდენტს გაცილებით ადრე აცნობა.

ცესკოს თავმჯდომარის პოსტის დატოვებიდან ცოტა ხანში ზურაბ ხარატიშვილი „ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ“ და „პარტია ევროპელმა დემოკრატებმა“ პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგინეს.

როგორც „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერმა პაატა დავითაიამ განაცხადა, კანდიდატი ერთობლივი კონსულტაციების შედეგად შეირჩა. მისივე თქმით, ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტი ერთგვარი არბიტრია. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს კი ზურაბ ხარატიშვილი კარგი არბიტრი აღმოჩნდა და არჩევნები ისე ჩაატარა, რომ კითხვები არ გაჩენილა.

„ახლაც, ორი პოლიტიკური ძალის ჭიდილში, აუცილებელია ისეთი არბიტრი, რომელიც ამ ყველაფერს დაარეგულირებს,“ -ამბობს დავითაია.

უწყებათშორისმა კომისიამ შესაძლოა, პრეზიდენტს რეკომენდაციით მიმართოს

გუშინ უწყებათშორისი კომისიის სხდომა სამ საათს გაგრძელდა და გადაწყდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები, სამინისტროები და პოლიტიკური პარტიები კონკრეტულ რეკომენდაციებს შეიმუშავებენ.

უწყებათშორისმა კომისიამ სამინისტროებს მიმართა, თავიანთი თანამშრომლებისთვის შეიმუშაონ სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები, სადაც გაწერილი იქნება ის, თუ რა ჩაითვლება წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად.

გარდა ამისა, კომისია ადგილობრივ თვითმმართველობებს მიმართავს რეკომენდაციით, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ადგილი არ უნდა ჰქონდეს საკადრო ცვლილებებს.

რაც შეეხება რეკომენდაციას პოლიტიკური პარტიებისთვის, მათ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ და შეურაცხმყოფელი განცხადებები არ უნდა აკეთონ.

სხვადასხვა უწყებების მიმართ რეკომენდაციების შემუშავების შესახებ კომისიის გადაწყვეტილება სხდომას არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა გააცნეს. საარჩევნო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობოები აცხადებენ, რომ ყველაზე მეტი პრობლემა ადგილობრივ თვითმმართველობებში რჩება.

ახლახანს „სამართლიანმა არჩევნებმა“ წინასაარჩევნო მონიტორინგის მესამე ანგარიში გამოსცა. დღეს იმ საკითხებს დავაყენებ, რომლებიც აღნიშნულ ანგარიშში მოხვდა. განსაკუთრებულ ყურადღებას ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებზე ზეწოლის ფაქტებზე გავამახვილებ. ამ კუთხით პრობლემებია რამდენიმე მუნიციპალიტეტში, მათ შორის არის კასპი, ახმეტა და ასპინძა. დავაყენებ საკითხს, რომ უწყებათშორისმა კომისიამ ეს საკითხები შეისწავლოს, - აღნიშნა „სამართლიანმა არჩევნების“ წარმომადგენელმა ნინო ლომჯარიამ ჯერ კიდევ სხდომის დაწყებამდე.

ყველაზე მწვავე თემად თვითმმართველობებს მიიჩნევს გიორგი ტულუშიც. მისი განმარტებით, საქმე ეხება რამდენიმე საკრებულოს წევრზე განხორციელებულ ზეწოლას.

„გამოვყოფდი იმ თემებს, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებში განვითარებულ მოვლენებს ეხება. მათ შორის საუბარი იყო რამდენიმე საკრებულოს წევრზე განხორციელებული ზეწოლისა და ასევე ასპინძის, ახმეტის, კასპისა და ადიგენის საკრებულოებისა და გამგებლების შესახებ. ალბათ, მომავალ სხდომაზე უფრო დეტალური ინფორმაცია გვექნება, თუმცა დღემდე ყველაზე მწვავე თემად, როგორც ჩანს, მაინც თვითმმართველობებში მიმდინარე მოვლენები და, რა თქმა უნდა, ამ მოვლენების წინასაარჩევნო კონტექსტში განხილვა რჩება,“ - განაცხადა გიორგი ტულუშმა.

უწყებათშორისი კომისიის სხდომაზე „ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორების პროკურატურაში დაბარების საკითხიც განიხილეს.

ჯერ კიდევ სხდომის დაწყებამდე არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა გიგაურმა განაცხადა, რომ პროკურატურამ წინასაარჩევნო პერიოდში მსგავსი ტიპის ქმედებისგან თავი უნდა შეიკავოს.

„ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა ხდებოდა ფოთში. იცით, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რამდენიმე კოორდინატორი პროკურატურში დაიბარეს. ჩვენ სამიდან ერთ-ერთს ვესაუბრეთ და მისგან მიღებული ინფორმაციით, ისინი პროკურატურაში დასაქმების პროგრამის გამო დაიბარეს. ჩვენი პოზიციაა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ასეთი ტიპის ქმედებისგან პროკურატურამ თავი უნდა შეიკაოს,“ - აღნიშნა ეკა გიგაურმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელ ირინა იმერლიშვილის განცხადებით, უწყებათშორისი კომისიის მიერ ხელისუფლებისთვის შემუშავებული რეკომენდაციები უახლოეს პერიოდში გამოქვეყნდება.

„შევიმუშავეთ რიგი რეკომენდაციები იმისთვის, რომ წინასაარჩევნო დარღვევები არ მოხდეს. მათ შორის ერთ-ერთი რეკომენდაცია თვითმმართველ ორგანოებს ეხება - ჩვენი მოწოდებაა, რომ თუკი თვითმმართველობებში რომელიმე პირის იმპიჩმენტის საკითხია დაგეგმილი, ეს არჩევნებამდე შეჩერდეს. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ ყველა უწყებამ, როგორც ეს თავდაცვის და ფინანსთა სამინისტროებმა გააკეთეს, შესაბამისი ინსტრუქციები უნდა გამოსცენ და საკუთარ თანამშრომლებს განუმარტონ, რისი უფლებები აქვთ წინასაარჩევნო პერიოდში და რისი - არა,“ - აღნიშნა იმერლიშვილმა სხდომის დასრულების შემდეგ.

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის თქმით, უწყებათშორისმა კომისიამ შესაძლოა, რეკომენდაციით პრეზიდენტსაც მიმართოს.

„რეკომენდაციებზე შევჯერდით, რომ გაიცეს პოლიტიკურ პარტიებზე, რათა ყველა პოლიტიკურმა პარტიამ თავის შიგნით დაამყაროს პოლიტიკური დისციპლინა, პარტიული დისციპლინა და ყველა მუშაკი, აქტივისტი თუ მხარდამჭერი, კანონმორჩილი იყოს, რომ სხვადასხვა პარტიებმა ერთმანეთის კანდიდატებს ხელი არ შევუშალოთ. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ თავდაცვის სამინისტრომ და ფინანსთა სამინისტრომ საკუთარ მოხელეებს მისცეს ძალიან მკაფიო ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა იქცეოდეს საჯარო მოხელე. წინასაარჩევნო კამპანიის დროს შეიძლება, რეკომენდაცია პრეზიდენტისთვისაც გაიცეს. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები გვეუბნებიან, მან შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტოს, რომ ჰუმანისტია და ყველა შეიწყალოს. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, რადაგან ნულოვანი ტოლერანტობა და უდანაშაულო ადამიანების ციხეში ჩაყრა იყო ის, რის გამოც წინა ხელისუფლების წინააღმდეგ ვიბრძოდით, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციები ფიქრობენ, რომ მიხეილ სააკაშვილი შესაძლოა, ადმინისტრაციულ რესურსს იყენებს და ამაზე მსჯელობა გაგრძელდება. ჯერჯერობით ვერ ჩამოვყალიბდით,“ - განაცხადა წულუკიანმა.

სხდომის დასრულების შემდეგ იუსტიციის მინისტრი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა თინათინ ბოკუჩავამ მის მიმართ აგრესიაში დაადანაშაულა. ბოკუჩავას თქმით, თავად ეცადა, კონსტრუქციული ყოფილიყო, მაგრამ წულუკიანმა მის მიმართ აგრესია ვერ დამალა.

„ვეცადე, ძალიან კონსტრუქციული ვყოფილიყავი. თუმცა, ქალბატონი თეა ვერ მალავს აგრესიას კონკრეტულად ჩემ და იმ ძალის მიმართ, რომელსაც წარმოვადგენ. ის სერიოზულად არ განიხილავს ისეთ ფაქტებს, როგორიც არის ზუგდიდში მომხდარი ძალადობა და ამბობს, რომ პროკურატურის მხრიდან სისხლის სამართლის დანაშაულის ფაქტების არდანახვა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს,“ - განაცხადა უმცირესობის წევრმა.

ამასთან, ბოკუჩავას თქმით, კომისიის სხდომაზე მან „ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორების პროკურატურაში დაბარების გახშირებული ფაქტების შესახებაც ისაუბრა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ასეულობით აქტივისტი პროკურატურაში განმეორებით იკითხება. მაგალითად, მარტვილში ერთი პირი უწყებაში 30-ჯერ დაიბარეს. ეს იმ ფონზე, როცა პრემიერი მოსახლეობას ჰპირდება, რომ ხელისუფლება ნორმალურ საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფს. ნამდვილად არ მესმის, როგორ შეიძლება ერთი ადამიანის 30-ჯერ დაკითხვა აბსურდულ ბრალდებებზე. როგორ შეიძლება, ეს წინასაარჩევნო გარემოს ნორმალურ პირობებში წარმართვას უზრუნველყოფდეს,“ - აღნიშნა თინათინ ბოკუჩავამ.

„დიპლომატიური სამსახური ქვეყნის სამსახურშია და არა რომელიმე პოლიტიკური ძალის“

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, საგარეო უწყების ხელმძღვანელის თქმით, ნატო-ში ინტეგრაცია ქვეყნისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მინისტრის განცხადებით, საქართველო საერთაშორისო უსაფრთხოებაში თავისი წვლილის შეტანას განაგრძობს და ამ მხრივ სანდო პარტნიორია.

სიტყვით გამოსვლისას ფანჯიკიძემ ასევე რუსეთთან ურთიერთობების შესახებაც ისაუბრა. მისი თქმით, არავის აქვს ილუზია, რომ მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესება მარტივია, თუმცა ურთიერთობაში წითელი ხაზები არ გადაიკვეთება.

რუსეთთან ურთიერთობის საკითხები ერთ-ერთი მთავარი თემა იყო პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის გამოსვლაშიც.

ივანიშვილის განცხადებით, საქართველომ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება აქტიურად დაიწყო.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს დიდი ძალისხმევის მიუხედავად, რუსეთმა მავთულხართები ქვეყნის სიღრმეში გადმოწია, რაც ორ ქვეყანას შორის ბოლოდროინდელი პოზიტიური ნაბიჯების ადეკვატური პასუხი არ არის.

„გადაიდგა ნაბიჯები ვაჭრობის, ეკონომიკისა და კულტურის სფეროებში. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა მეგობრებმა მოგვიწონეს რუსეთთან დიალოგის ეს ფორმატი, როგორც კონსტრუქციული ნაბიჯი, მიმართული დაძაბულობის შემცირებისკენ. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი დიდი ძალისხმევის მიუხედავად, რუსეთმა კვლავ გადმოწია მავთულხართები ჩვენი ქვეყნის სიღრმეში, რაც არ არის ადეკვატური პასუხი იმ პოზიტიურ ნაბიჯებზე, რომლებიც ბოლო დროს ორ ქვეყანას შორის განხორციელდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვინარჩუნებთ სიმშვიდეს და კვლავ თანმიმდევრულად ვაგრძელებთ ჩვენ მიერ დასახულ პრაგმატულ პოლიტიკას. აქტიურად ვიყენებთ ჟენევის საერთაშორისო მექანიზმებსა და თანამშრომლობის ორმხრივ ფორმატებს,“ - აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერის თქმით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს.

ივანიშვილის განცხადებით, ნატო-ს წევრობა საქართველოს უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი გარანტიაა და საქართველო უნდა ეცადოს, რომ სხვა ასპირანტ ქვეყნებთან ერთად, ნატო-ს გაფართოების შემდეგ ტალღაში აღმოჩნდეს.

„მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი ქვეყანა, სხვა ასპირანტ ქვეყნებთან ერთად, ნატო-ს გაფართოების შემდეგ ტალღაში აღმოჩნდეს. ჩვენს ქვეყანას თავისი წვლილი შეაქვს საერთაშორისო თანამეგობრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს მონაწილეობა ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში. ჩვენს ხელისუფლებას კარგად აქვს გაცნობიერებული, თუ რამხელა პასუხისმგებლობაა ამ მისიის შესრულება,“ - განაცხადა პრემიერმა.

სიტყვით გამოსვლისას ბიძინა ივანიშვილმა საქართველოსა და ამერიკის ურთიერთობებზეც გაამახვილა ყურადღება.

„საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული თანამშრომლობა, რაც სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიით განსაზღვრული პირობებით წარიმართება. ეს თანამშრომლობა ეფუძნება საერთო ინტერესებს და მათ მისაღწევად სხვადასხვა სფეროებში ერთობლივი ძალისხმევის განხორციელებას,“ - განაცხადა პრემიერმა.

მისი თქმით, ასევე მნიშვნელოვანია მეზობელ ქვეყნებთან - აზერბაიჯანთან, თურქეთთან და სომხეთთან ურთიერთობების გაღრმავება. ივანიშვილმა აღნიშნულ ქვეყნებში საქართველოს აკრედიტებულ ელჩებს კეთილმეზობლური ურთიერთობების გაღრმავებისა და განვითარებისკენ მოუწოდა.

პრემიერ-მინიტრი იმედოვნებს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში დემოკრატიზაციის გზაზე მიღწეული წარმატებები საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ გზას უფრო მეტად გაუხსნის. ამასთან, ივანიშვილმა აღნიშნა, რომ „ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია.“

„ჩვენ, ყველას, ხალხსაც და ხელისუფლებასაც, კარგად გვესმის, რომ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია ერთადერთი გზაა, რომელიც ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს, ჩამოაყალიბოს ნამდვილი დემოკრატია,“ - განაცხადა ივანიშვილმა.

ამასთან, პრემიერის თქმით, სოფელ ჭელაში მინარეთი კანონდარღვევით აშენდა და ამ ინციდენტს რელიგიურ შეუწყნარებლობასთან საერთო არაფერი აქვს.

„ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი ისტორიის მანძილზე საქართველოში რელიგიური შეუწყნარებლობის მაგალითი არ მოიძებნება. ღრმად მწამს, რომ ეს ტრადიცია არსად გამქრალა, რადგან ჩვენი ხალხისთვის სრულიად ბუნებრივია მშვიდობიანი თანაცხოვრება, რელიგიური შემწყნარებლობა, რელიგიური გრძნობების პატივისცემა. ეს არის არა მხოლოდ ჩვენი ეროვნული ტრადიცია, არამედ საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთი ფუნდამენტური ღირებულება. სწორედ ეს მაფიქრებინებს, რომ სოფელ ჭელაში მომხდარ ინციდენტს არაფერი აქვს საერთო რელიგიურ შეუწყნარებლობასთან. მინარეთის აშენება კანონდარღვევით მოხდა. თვითნებობას და უკანონობაზე ხელისუფლება თვალს ვერ დახუჭავს,“ - განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ თუ სოფელ ჭელაში მინარეთის დემონტაჟისას ან აქციის მონაწილეთა მიმართ კანონი დაირღვა ან გადამეტებული ძალა იყო გამოყენებული, ფაქტებს შეისწავლიან და სათანადო რეაგირება მოჰყვება.

გარდა ამისა, ბიძინა ივანიშვილმა მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ თავისუფალი, დემოკრატიული და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარება ხელისუფლების მტკიცე პოლიტიკური ნებაა.

მისი თქმით, წინა არჩევნების დროს უხეშად ირღვეოდა საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისთვის კონსტიტუციით მინიჭებული საარჩევნო უფლება.

„იყო შემთხვევები, როდესაც დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები მიკერძოებულ დამოკიდებულებას იჩენდნენ მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ და არაფრად აგდებდნენ ჩვენი მოქალაქეების უფლებებს. ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ, ეს აღარ უნდა განმეორდეს. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ დიპლომატიური სამსახური ქვეყნის სამსახურშია და არა რომელიმე პოლიტიკური ძალის. ჩვენმა ხელისუფლებამ უკვე გადადგა ნაბიჯები ამ ხარვეზების გამოსასწორებლად. მჯერა, რომ ყოველი თქვენგანი, საქართველოს ყველა წარმომადგენლობა უცხოეთში, მთლიანად აცნობიერებს ამ პასუხისმგებლობას, მჯერა, რომ თქვენ ღირსეულად გაართმევთ თავს ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანას და გახდებით გარანტი იმისა, რომ ყველა ჩვენი მოქალაქის საარჩევნო უფლება უზრუნველყოფილი და დაცული იქნება. მე ვენდობი თქვენს პროფესიონალიზმს,“ - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ამბასადორიალზე სიტყვით გამოსვლისას.

მოგვიანებით ჟურნალიტებთან საუბრისას პრემიერ-მინისტრის გამოსვლის მნიშვნელობაზე ისაუბრეს საგარეო საქმეთა მინისტრმა და მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრებმა.

„მინდა, ძალიან დიდი მადლობა ვუთხრა მას, რომ მონაწილეობა მიიღო ამბასადორიალის გახსნაში და სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, - აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ, **- ჩემი მოხსენება კი საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსსა და სამინისტროს შიდა ამოცანებს ეხებოდა. ეს არის ორი ძირითადი ამოცანა - საქართველოს პოლიტიკური კურსის გატარება და ამავე დროს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან დასავლური, ევროპული ტიპის სახელმწიფო ინსტიტუტის შექმნა,“** - აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმ პრიორიტეტების მოსმენა, რომელთა შესახებაც ბიძინა ივანიშვილმა და მაია ფანჯიკიძემ ისაუბრეს.

„ელჩებთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია, რათა მათ მომავალი წლისთვის ზედმიწევნით ზუსტი ამოცანები და ინსტრუქციები ჰქონდეთ, თუ რა ძირითად პრიორიტეტებზე უნდა ისაუბრონ თავიანთ ადგილსამყოფელ ქვეყნებში,“ - განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას თქმით, ნატო-სთან ინტეგრაციის პროცესი და ალიანსის მისიებში მონაწილეობა პრაქტიკულად ორივე მხრიდან - როგორც საგარეო საქმეთა, ისე თავდაცვის სამინისტროსგან ერთობლივად ხორციელდება.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მომესმინა პრემიერ-მინისტრის და საგარეო საქმეთა მინისტრის საგარეო პოლიტიკური ხედვები, კიდევ ერთხელ გაცხადებული მსოფლიოსა და ქართული საზოგადოებისთვის. ხვალ ამბასადორიალში უშუალოდ მონაწილეობის შესაძლებლობა გვექნება,“ - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მურსი ძალადობის ხელშეწყობაში დაადანაშაულეს

ხელისუფლებას ჩამოშორებულ ეგვიპტის პრეზიდენტ მოჰამედ მურსის ოპოზიციონერი დემონსტრანტების მკვლელობის მონოდების გამო გაასამართლებენ. აღნიშნულის შესახებ ქვეყნის პროკურორმა განცხადა. ბრალდება უკავშირდება გასული წლის დეკემბერში პრეზიდენტის სასახლესთან მომხდარ შეტაკებას, სადაც 7 ადამიანი დაიღუპა. ამავე ბრალდებას «მუსლიმი ძმების“ კიდევ 14 წევრს წაუყენებენ. მურსი ქვეყნის არმიამ თანამდებობას ივლისში ჩამოაშორა და ამის შემდეგ მისი ზუსტი სამყოფელი უცნობია. სასამართლო სხდომის ზუსტ თარიღს მოგვიანებით გამოაცხადებენ.

მურსის გადაყენების შემდეგ ქვეყანაში მისი მხარდამჭერების გამოსვლები არ ცხრება, რასაც ათასზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. საერთაშორისო საზოგადოებამ დროებითი მთავრობა «მუსლიმი ძმების“ წარმომადგენლების დევნისთვის დაგმო. ქვეყანას ფინანსური და სამხედრო დახმარება ამერიკამ და ევროკავშირმა შეუჩერეს.

თურქ გენერლებს «პოსტმოდერნისტული პუტჩისთვის“ ასამართლებენ

თურქეთში ყოფილი სამხედროების სასამართლო პროცესი იწყება, რომლებსაც 1997 წელს პირველი პროისლამისტური მთავრობის ჩამოდგებაში ადანაშაულებენ. 100 ბრალდებულს შორის არის არმიის ყოფილი ხელმძღვანელი, გენერალი ისმაილ ჰაკი კარაიც. მას ბრალი ედება გადატრიალების ხელშეწყობაში, რომელსაც თურქეთში «პოსტმოდერნისტულს“ უწოდებენ. ეს უსისხლო პუტჩი იყო და შედეგად სამხედრო დიქტატურა არ დამყარებულა. მაშინ ნაჯმეთინ ერბაქანის კოალიციური მთავრობა სამხედროების მოთხოვნის საპასუხოდ გადადგა. ამ მოვლენების გამო ბრალდება გასული წლიდან მოყოლებული რამდენიმე გადამდგარ და მოქმედ გენერალს წაუყენეს.

„ლევადა ცენტრის“ გამოკითხვით, მოსკოვის მერის არჩევნებში სობიანინი გაიმარჯვებს

«ლევადა ცენტრის“ მიერ ჩატარებული სოციოლიგიური გამოკითხვის თანახმად, მოსკოვის მოქმედი მერი სერგეი სობიანინი არჩევნების პირველივე ტურში გაიმარჯვებს. თუმცა, სობიანინის მეტოქე ალექსეი ნავალნი დარწმუნებულია, რომ მეორე ტურის ჩატარება გახდება საჭირო. სობიანინს გამოკითხულთა 58 პროცენტი უჭერს მხარს, ალექსეი ნავალნის კი - 18 პროცენტი. თუმცა, ცოტა ხნის წინ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ნავალნის მხოლოდ - 6 პროცენტი უჭერდა მხარს, სობიანინს კი, ივლისში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად - 78 პროცენტი.

დეპარდიეს ალჟირის პასპორტის მიღება სურს

ერთ-ერთი ფრანგული რადიოს ინფორმაციით, მსახიობ ჟერარ დეპარდიეს ალჟირის პასპორტის მიღება სურს. «მინდა, იმ შვიდი ქვეყნის პასპორტი მქონდეს, რომლებიც ძალიან მიყვარს. მე ალჟირს პასპორტს ვთხოვ. მინდა, იმ ხასიათს შევესაბამებოდე, რომელიც ასე უყვართ ფრანგებს - წესრიგის დამრღვევი, რომელიც საზღვრებს არღვევს, ზოგჯერ არაფხიზელ მდგომარეობაში. ამაში არის რაღაც ხულიგნური, რაც პუტინს უყვარს,“ - აღნიშნა მსახიობმა. 2013 წლის დასაწყისში დეპარდიეს უკვე მიანიჭეს რუსეთის მოქალაქეობა.

«ამერიკა ბრაზილიისა და მექსიკის პრეზიდენტებს უსმენდა“

ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო ბრაზილიისა და მექსიკის პრეზიდენტების დილმა რუსეფისა და ენრიკე პენ ნიეტოს სატელეფონო საუბრებს უსმენდა. აღნიშნულის შესახებ ბრაზილიულ ტელეარხ «გლობოზე“ ამერიკელმა ჟურნალისტმა გლენ გრინუოლდმა განაცხადა. გრინულოდს ეს ინფორმაცია ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა ედუარდ სნოუდენმა მიაწოდა, რომელსაც აგვისტოში რუსეთმა დროებითი თავშესაფრი მიანიჭა. მექსიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აღნიშნულზე კომენტარის გაკეთებისაგან თავი შეიკავა. ბრაზილიის იუსტიციის მინისტრმა ჟოზე ედაურდო კარდოზომ კი განაცხადა: „თუ აღნიშნული დადასტურდა, ეს შეიძლება, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევად შეფასდეს.“

დიდი ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრის დნმ-ის შემოწმებას ითხოვენ

კორნუოლის ჰერცოგინია კამილა როზმარის, რომელიც პრინც უილიამის დედინაცვალია, ეჭვი ეპარება, რომ ქეით მიდლტონს ვაჟი მისი გერის პრინც უილიამისგან ჰყავს. ამის დასამტკიცებლად ჰერცოგინია დნმ-ის ტესტის ჩატარებას ითხოვს. კამილა თავისი ეჭვების საფუძვლად იმას ასახელებს, რომ ახალშობილი მამას არ ჰგავს. კამილა როზმარის თქმით, სამეფო ოჯახი უნდა დარწმუნდეს, რომ კემბრიჯის ჰერცოგინიას საკუთარი ქმრისთვის არ უღალატია. დედოფალი ელისაბედ მეორე თავისი რძლის ამ განცხადებით «ძალიან გაკვირვებულია.“ ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ Globe ავრცელებს.

ამავდროულად ცნობილი გახდა, რომ უილიამმა და ქეითმა ბავშვის პირველი ნათლია შეარჩიეს. დიდი ბრიტანეთის სამეფო ტრადიციის მიხედვით, ახალშობილს ოჯახის ახლობელ ექვს ადამიანს ანათლინებენ. გაზეთმა «სანმა“ პრინც ჯორჯის პირველი ნათლიის ვინაობა შეიტყო - ის არის პრინც უილიამის უახლოესი მეგობარი გაი პელი. თუმცა, როგორც გამოცემა წერს, იგი «სუფთა რეპუტაციით“ ვერ დაიკვეხნის. ლონდონის ღამის კლუბების მფლობელი, 31 წლის პელი მარიხუანის მოხმარებასა და ავტომანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვაშია «შემჩნეული.“ «სანის“ მიხედვით, დანარჩენ ხუთ ნათლიას შორის შესაძლოა, ასევე პრინცის ახლო მეგობრები ტომას ვან სტრობენზი და ჯეიმი ლოუტნერ-პინკერტონი აღმოჩნდნენ.

მოამზადა თამთა კახაძემ

სირიაზე დარტყმის თარიღი უცნობია

პირველი გვერდიდან

ამიტომ გადაწყვიტა, არაპოპულარულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობა კონგრესს გაუნაწილოს. მსოფლიოს რჩება დრო, ეს ნაბიჯი კიდევ კარგად გააზროს, სამხედროებს კი, მათ შორის სირიელებს, ომისთვის უკეთესად მომზადება შეუძლიათ. ობამას „აუჩქარებლობა“ მისი კრიტიკის მიზეზიც გახდა. აშშ-ს პრეზიდენტს სხვადასხვა მოსაზრებებით აკრიტიკებენ როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები.

გაეროს უშიშროების საბჭოში საკითხის განხილვას აზრი არა აქვს. რუსეთი და ჩინეთი დიდი ხანია, ღიად აცხადებენ, რომ სირიის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას მხარს არ დაუჭერენ. ეს სახელმწიფოები გუშინაც გამოვიდნენ მოლაპარაკებების გამართვის მოთხოვნით. ამას გარდა, რუსეთის პრეზიდენტი და ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი სირიის მმართველი რეჟიმის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ ამერიკის არგუმენტებს, რბილად რომ ვთქვათ, „არადამაჯერებლად“ მიიჩნევენ. პუტინმა ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების ბრალდებას საერთოდ „სისულელე“ უწოდა. ის „არალოგიკურად“ მიიჩნევს ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებას იმ დროს, როცა მისი არმია ფრონტზე ისედაც წარმატებით იბრძვის, თან ქვეყანაში გაეროს ინსპექტორები იმყოფებოდნენ. პუტინის აზრით, ეს პროვოკაცია იმ ძალებმა მოაწყვეს, ვისაც უნდათ, ძლიერი სახელმწიფოები, აშშ და მისი მოკავშირეები, ომში ჩაითრიონ თავის მხარეს. ამერიკელებზე კი თქვა, რომ პარტნიორების უპატივცემულობაა იმის განცხადება, რომ დამამტკიცებელი მასალები გაქვს და ისინი არ გამოაქვეყნო მხოლოდ იმიტომ, რომ საიდუმლო მასალებია. პუტინის სიტყვებით, ეს არასერიოზულია და იმას ნიშნავს, რომ არგუმენტები არ არსებობს.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ კვირას ამერიკის ხუთ ტელეარხს მისცა ინტერვიუ და პუტინის სიტყვები საჯაროდ უარყო. მან თქვა, რომ მათ ხელთ არსებული ყველა არგუმენტი წარუდგინეს რუსებს, უბრალოდ, თუ მათ არ სურთ, რომ ისინი დამამტკიცებელ საბუთებად აღიარონ, ეს მათი არჩევანია. კერის სიტყვებით, რუსები ამ არგუმენტების „იგნორირებას“ ახდენენ. მან დასძინა, რომ აშშ გააგრძელებს რუსეთთან მუშაობას, რომ მომავალში სირიის კონფლიქტი პოლიტიკური მეთოდებით მოგვარდეს.

ამ დროისთვის ცნობილია, რომ ქიმიური შეტევით 1429 ადამიანია დაღუპული, მათ შორის - 426 ბავშვი. სირიის არმიის პირადი შემადგენლობა, რომელიც ქიმიური იარაღით იყო აღჭურვილი, შეტევის რაიონში მოქმედებდა დარტყმამდე ჯერ კიდევ სამი დღით ადრე. შესაძლო შეტევის შესახებ აშშ-ს ინფორმაცია წინასწარ ჰქონია. თანამგზავრებიდან გადაღებულია სამთავრობო არმიის პოზიციებიდან რაკეტების გასროლა 90 წუთით ადრე მანამდე, სანამ ქიმიური იარაღით ხალხის დაღუპვის შესახებ პირველი ცნობები გავრცელდებოდა. რაკეტების დაცემის ადგილებში გადაღებული 100 ვიდეოჩანაწერი არსებობს, რომლებზეც ქიმიური ნივთიერებით მოწამლული ადამიანები აღბეჭდილი. დაჭერილია სირიელი მაღალჩინოსნის სატელეფონო საუბარი, რომელშიც ის შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ქიმიური იარაღის გამოყენების მტკიცებულებები გაეროს ინსპექტორებს ჩაუვარდებათ ხელში. ამას გარდა, ამერიკელებს ადამიანების თმის ღერის ანალიზები აქვთ, რომელშიც ზარინის კვალი აღმოჩნდა. ეს არ არის გაეროს ინსპექტორებისგან მიღებული ნიმუშები, ამერიკის დაზვერვას ეს ნიმუშები იმ ექიმებისგან აქვს, რომლებიც მოწამლულებს მკურნალობდნენ.

გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა „მგიმოში“ მოხსენებით გამოსვლისას აღიარა, რომ ამერიკამ რუსეთს მტკიცებულებები გადასცა, მაგრამ ლავროვმა ისინი „არადამაჯერებლად“ შეაფასა.

თვით გაეროს ინსპექტორთა ჯგუფი უკვე ჰააგაშია, სადაც ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის შტაბბინა მდებარეობს. ექსპერტები ჩატანილ მასალას იქ ლაბორატორიებში შეისწავლიან და საბოლოო დასკვნას, დაახლოებით, ორ კვირაში მოამზადებენ.

სირიის მმართველი რეჟიმი კი თავდაცვისთვის ემზადება. პრეზიდენტმა ასადმა ირანის დელეგაციასთან შეხვედრისას განაცხადა, რომ სირია ნებისმიერ საგარეო აგრესიას გაუმკლავდება და არც ტერორისტებთან ომს შეასუსტებს. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ფაისალ მეყდადმა კი გუშინ განაცხადა, რომ სირიაზე ამერიკის თავდასხმა „ალ ქაიდას“ და მასთან ასოცირებული დაჯგუფებების წისქვილზე ასხამს წყალს.

გუშინ არაბულ სახელმწიფოთა ლიგის განცხადებაც გამოქვეყნდა, რომელიც გაეროს მოქმედებისა და სირიის მმართველი რეჟიმის დასჯისკენ მოუწოდებს. თუმცა არაბულ სახელმწიფოთა ლიგაც მიიჩნევს, რომ სამხედრო ძალის გამოყენებისთვის გაეროს სანქციაა საჭირო. ცნობილი გახდა, რომ საკითხის განხილვის დროს უფრო რადიკალურები იყვნენ საუდის არაბეთი, კატარი და გაერთიანებული არაბული საამიროები. ისინი ასადის რეჟიმის დამხობის მოწოდებითაც გამოვიდნენ. თუმცა ამის კატეგორიული წინააღმდეგი წავიდნენ ლიბანი და ერაყი, ასევე იორდანია. ამ უკანასკნელმა ღიად განაცხადა, რომ სირიის წინააღმდეგ ოპერაციაში მონაწილეობას არ მიიღებს და სავარაუდო კოალიციას არც საჰაერო სივრცეს დაუთმობს.

მხარეები არც სამხედრო მზადებას ივიწყებენ. აშშ-ს ავიამზიდი „ნიმიცი“, თანმხლები გემებითურთ, წითელ ზღვაში გადავიდა, რათა სირიასთან ახლოს იყოს. ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში უკვე მზადყოფნაშია ხუთი ნაღმოსანი გემი და სადესანტო ხომალდი «სან-ანტონიო». სპარსეთის ყურეში მორიგეობს ავიამზიდი „ჰარი ტრუმენი“. საფრანგეთის პრემიერი ჟან მარკ ეირო პარლამენტის ფრაქციათა ხელმძღვანელებს შეხვდა და მათ სამხედრო ოპერაციაში ქვეყნის მონაწილეობის შესაძლო ფორმები გააცნო (აშშ-სა და საფრანგეთის პრეზიდენტებს აქვთ უფლება, მოკლევადიან სამხედრო ოპერაციებზე ჯარი პარლამენტის თანხმობის გარეშე გაგზავნონ). თურქეთს მთელი ჰაერსანინააღმდეგო თავდაცვა უკვე სირიისკენ აქვს მიბრუნებული და აცხადებს, რომ ნებისმიერ ოპერაციაში მიიღებს მონაწილეობას.

სირიაში კი ჯარების დისლოკაციის ადგილის შეცვლა გრძელდება. სირიის ოპოზიციის ცნობით, ასადის არმია დასახლებულ პუქტებში იკავებს პოზიციებს, რათა ხალხი ცოცხალ ფარად გამოიყენოს და სამხედრო ბაზებს ტოვებს, რომლებზეც შეიძლება, პირველი დარტყმები განხორციელდეს. არის ეჭვიც, რომ ბაზებზე და ყაზარმებში, ჯარისკაცების ნაცვლად, პატიმრებს ათავსებენ - მათ შორის, ცხადია, ძირითადად, ოპოზიციის წარმომადგენლებს.

ობამას მიერ დროის გაწელვას და კონგრესისგან ნებართვის მოთხოვნას ბევრი სამხედრო და პოლიტიკური ექსპერტი აკრიტიკებს, მათ შორის თვით აშშ-ს სენატორებიც. კონგრესი არდადეგებიდან 9 სექტემბერს ბრუნდება. საინტერესოა, რომ კრიტიკას გამოთქვამენ ამერიკელებიც და რუსებიც. არგუმენტები მსგავსია, მოტივები - განსხვავებული. ობამას ნაბიჯი პოლიტიკურად სწორია, ეს არაპოპულარული გადაწყვეტილებაა, თვით ობამას მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგება და, შესაბამისად, აშშ-ს პრეზიდენტი საკმაოდ რთული სიტუაციიდან გამოსასვლელად დემოკრატიული სახელმწიფოსთვის შესაბამის ნაბიჯს დგამს. ქვეყნის შიგნით მისი კრიტიკოსები აცხადებენ, რომ ობამამ თვითონაც არ იცის, რის გაკეთებას აპირებს სირიაში და სურს, პასუხისმგებლობა სხვას აჭკიდოს.

„ქორები“ სენატიდან ჯონ მაკკეინი და ლინდსი გრემი ობამას შეზღუდული ოპერაციისთვის აკრიტიკებენ. მათი აზრით, თუ სამხედრო ოპერაციას იწყებ, მოწინააღმდეგემ უნდა იცოდეს, რომ ამოცანას ბოლომდე შეასრულებ და შუა გზაზე არ გაჩერდები. თუმცა, სამხედრო ოპერაციის წინააღმდეგ ხმის მიცემა, მაკკეინის აზრით, არ შეიძლება, რადგან ეს ამერიკის ინტერესებს დაუზარალებს. სხვათა შორის, გუშინ ობამამ გრემი და მაკკეინი პოზიციების შესაჯერებლად თეთრ სახლში მიიწვია.

რუსი სამხედრო ექსპერტებიც ამბობენ, რომ მოწინააღმდეგისთვის მოსამზადებლად დროის მიცემაც და „შეზღუდული ოპერაციის“ დაანონსებაც არასწორია, რადგან მტერმა იცის, რომ ცოტა ხანი უნდა გაუძლოს და შემდეგ ხელები გაეხსნება. ისე, ეს შეზღუდული ოპერაცია შეიძლება, შემდეგ გაფართოვდეს.

აშშ-მ ვიეტნამშიც თავიდან მხოლოდ შეზღუდული კონტინგენტი გაგზავნა ამერიკელი სამხედრო მრჩევლების დასაცავად.

წინასაარჩევნო ტელედებატები მერკელის კურიოზით

პირველი გვერდიდან

პერ შტაინბრუკს ფინანსთა მინისტრის პოსტი ეკავა იმ მთავრობაში, როცა სოციალისტები ხელისუფლებაში იყვნენ.

საათნახევრიანმა ტელედებატებმა, ამის შემდეგ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, აშკარა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. კამათმა საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა, თითქმის არ ყოფილა პიროვნული თავდასხმები. დისკუსიის ძირითადი ნაწილი შიდაპოლიტიკურ თემებზე მიმდინარეობდა: გადასახადების გაზრდა, სამედიცინო დაზვევა, შრომის მინიმალური ანაზღაურება, საპენსიო უზრუნველყოფა და სხვ.

საგარეო ურთიერთობების სფეროში მხოლოდ ისეთ აქტუალურ საკითხებს შეეხნენ, როგორიც არის შესაძლო სამხედრო ოპერაცია სირიაში, ამერიკის სპეცსამსახურების საქმიანობის გარშემო აგორებული სკანდალი (ის ევროპას და კონკრეტულად გერმანიასაც შეეხო) და კრიზისში მყოფი ევროპული სახელმწიფოების (კონკრეტულად საბერძნეთის) დახმარება.

სირიის საკითხში მეტოქეებმა ერთსულოვნება გამოამჟღავნეს. ისინი მიიჩნევენ, რომ ბაშარ ასადის მიერ ქიმიურ იარაღის სავარაუდო გამოყენებაზე ძალისმიერი პასუხის გასაცემად საერთაშორისო მანდატია საჭირო. ორივე ოპონენტმა განაცხადა, რომ გერმანია ოპერაციაში მონაწილეობას არ მიიღებს. სავარაუდოდ, იგულისხმება, რომ მანდატის გარეშე.

მომავალი მთავრობის შემადგენლობაზე საუბრისას მერკელმა განაცხადა, რომ გამარჯვების შემთხვევაში «თავისუფალ-დემოკრატიულ პარტიასთან» კოალიციაში გააგრძელებს მუშაობას. შტაინბრუკმა კი განაცხადა, რომ არ აპირებს გაერთიანებას არც „დიდ კოალიციაში“ მერკელთან ერთად, არც კოალიციაში მემარცხენე პარტიასთან. ადრე სოციალ-დემოკრატების კოალიციური პარტნიორები „მწვანეები“ იყვნენ. მათზე კონკრეტულად არაფერი თქმულა, თუმცა მწვანეებიც მემარცხენე ბანაკს მიეკუთვნებიან.

კურიოზი, რომელიც ანგელა მერკელს შეემთხვა, მისმა აქსესუარმა გამოიწვია. მოქმედი კანცლერი დებატებზე შავი კოსტიუმით მივიდა და მას ერთადერთი სამკაული ეკეთა, ყელსაბამი გერმანიის დროშის ფერებით - შავით, წითლით და ყვითლით. მაგრამ სამკაულში ფერების მიმდევრობა დროშის იდენტური არ აღმოჩნდა. ამ ფაქტმა მოსახლეობის და ინტერნეტ-მომხმარებლების ღამის იმაზე მეტი ყურადღება მიიქცია, ვიდრე თვით ტელედებატების შინაარსმა. ტელედუელის დაწყებიდან 15 წუთში „ტვიტერში“ გაჩნდა გვერდი „ყელსაბამი გერმანია“ (Deutschland Kette), რომლის „ავტორადაც“ თვით ყელსაბამი იქნა დარეგისტრირებული. ერთ-ერთი პირველი ჩანაწერი იყო „ის (მერკელი) მე არასწორად მატარებს! მე ბელგია არ ვარ!“. შემდეგ იყო ჩანაწერები „მომწყინდა“ და „პერი სულ მე მიყურებს“. ეს ორიგინალური მიკრობლოგი დებატების დამთავრების შემდეგაც პოპულარულია, მას უკვე ათასობით მკითხველი ჰყავს.

მოამზადა ივა შილაკაძემ

სულებს გაყოლილი ჰაიაო მიაძაკი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ



სამწუხაროდ, იაპონური ანიმეს პატრიარქს სწორედ ასეთი გადაწყვეტილება აქვს მიღებული - დაისვენოს.

თავდაპირველად მისი ბოლო ფილმის შესახებ, რომელსაც საკმაოდ სინტერესო ბეგრაუნდი აქვს და ეს სწორედ ის ბეგრაუნდია, რომლის გამოც «ქარი ძლიერდება», შესაძლოა, ვერასდროს აღმოჩნდეს ამერიკულ გაქირავებაში, მიუხედავად იმისა, რომ ფილმი უკვე ჩართულია ნიუ იორკის საერთაშორისო კინოფესტივალის პროგრამაში და მიუხედავად იმისაც, რომ ჰაიაო მიაძაკი და მისი ანიმაცია ამერიკაში საკმაოდ დაფასებულია. საქმე ის გახლავთ, რომ ფილმი რეალურად არსებული პიროვნების, სამხედრო თვითმფრინავების კონსტრუქტორ ძირო ჰორიკოშის ბიოგრაფიას ეფუძნება, ეს უკანასკნელი კი იაპონური ავიაციის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და საამაყო A6M Zero-ს შემქმნელი გახლავთ. ეს სწორედ ის მოდელია, რომელიც 1941 წლის 7 დეკემბერს იაპონიის არმიის მიერ პერლ ჰარბორში მდებარე ამერიკის ფლოტზე განხორციელებულ გრანდიოზულ თავდასხმაში მონაწილეობდა. პერლ ჰარბორზე თავდასხმაში 420 «ზერო» იყო ჩართული, შესაბამისად, იოლად წარმოსადგენია, ეს შემადგენლობა რა მასშტაბის ზიანის მიყენებას შეძლებდა, ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ პერლ ჰარბორის ტრაგედია ამერიკისთვის ისეთივე ხარისხის მოვლენაა, როგორც 11 სექტემბერი, საეჭვოა, მისი ერთ-ერთი მთავარი ანტიგმირის შემქმნელის შესახებ გადაღებულ ფილმს ამ ქვეყანაში მაყურებელი ჰყავდეს.

ფილმი თავად მიაძაკის მიერ წლების წინ შექმნილ მანგას ეფუძნება, თუმცა სცენარი ტაცუო ჰორის ამავე სახელწოდების რომანის ფრაგმენტებსაც აერთიანებს. «ქარი ძლიერდებას» მეორე მთავარი გმირი ტუბერკულოზით დაავადებული გოგონაა, რომლის ცხოვრებაშიც მოულოდნელად ახალგაზრდა კონსტრუქტორი ჩნდება, მათი ურთიერთობა კი ალბათ მხოლოდ სტუდია «გიბლის» მთავარი ანიმატორის კინოსთვის დამახასიათებელი მიმართულებით ვითარდება. საინტერესო და, ალბათ, სიმბოლურიცაა, რომ სახელწოდება «გიბლი» (Ghibli) ასევე სამხედრო თვითმფრინავის სახელს ატარებს: მეორე მსოფლიო ომის პერიოდის იტალიური სადაზვერვო თვითმფრინავს, რომელიც სპეციალურად აფრიკის უდაბნოში საბრძოლველად იყო კონსტრუირებული, ასეთი ადგილებისთვის დამახასიათებელი ქარის სახელი ერქვა. მიაძაკი იმ დროინდელი ევროპული ავიაციისადმი ინტერესითაა ცნობილი, ამიტომ 1983 წელს დაარსებულ სტუდიას სწორედ ასე უწოდა.

«გიბლის» პირველი ფილმი «ნაუსიკაა ქარების ველიდან» იყო, შემდეგი - «ლაპუტა» და «ციცინათელების სამარხი». 1988 წელს მიაძაკიმ «ჩემი მეზობელი ტოტორო» გადაიღო, რომლის პერსონაჟი ტოტოროც მოგვიანებით სტუდიის სიმბოლიდაც იქცა. მიაძაკის ცნობილ ნამუშევრებად მიიჩნევა «კიკის გადაზიდვების სამსახური», «პორკო როსო», «გულის ჩურჩული» და დიდებული «პრინცესა მონონოკე» და «ჰაულის მოსიარულე სასახლე».

2001 წელი ჰაიაო მიაძაკის მიერ გამოშვებული «სულებით გატაცებულნი» არა მხოლოდ «გიბლის», არამედ თანამედროვე იაპონური ანიმესთვისაც მნიშვნელოვან ნამუშევრად იქცა. პირველად ანიმეს ისტორიაში ფილმმა «ოსკარი» მოიპოვა დაამარცხა რა «დრიმუორქსის» «სპირიტი», «დისნის» «ლილო და სტიჩი» და «განძთა პლანეტა» და «20 საუკუნე ფოქსის» «გამყინვარების პერიოდი». ფილმმა ასევე ბერლინის «ოქროს დათვი» დაიმსახურა (ჯილდო პოლ გრინგრასის «სისხლიან კვირადღესთან» გაიყო) და უამრავი სხვა. 2005 წელს ბრიტანეთის კინინსტიტუტმა «სულებით გატაცებულნი» იმ 10 ფილმს შორის დაასახელა, რომლებიც ბავშვს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ნანახი. 2008 წელს მიაძაკიმ «პონიო» გადაიღო - ანიმაცია ბავშვებისთვის, პატარა თევზი გოგონას ძალიან მხიარული და, ამავდროულად სევდიანი ამბავი. ეს არის «პინოკიოს» თემატიკაზე დაფუძნებული ისტორია, როდესაც ოკეანის მბრძანებლის შვილს, პატარა პონიოს მხოლოდ ერთი რამ სურს - ნამდვილ გოგონად იქცეს და სამუდამოდ ბიჭუნა სოსკეს მეგობრად დარჩეს.

ჰაიაო მიაძაკი მიდის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ «გიბლი» არსებობას წყვეტს. სტუდიის მთავარმა ანიმატორმა 30 წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრი ანიმატორის აღზრდა მოასწრო, მათ შორის სკუთარი შვილისაც. გარდა ამისა, «გიბლის» პრეზიდენტმა, კოძი ჰოსინომ ვენეციის კინოფესტივალის ფარგლებში გამართულ პრესკონფერენციაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიაძაკი სრულმეტრაჟიან ფილმებს აღარ გადაიღებს, ანიმაციიდან მის საბოლოო წასვლაზე კი საუბარიც არაა.

ჰაიაო მიაძაკი ვენეციაში არ იმყოფება და ალბათ არც ჩავა (ის «ოსკარით დაჯილდოების ცერემონიალსაც კი არ ესწრებოდა), რადგან საკონკურსო ციებ-ცხელებაში ჩართვას თავის ანიმაციურ სამყაროში ყოფნას ამჯობინებს, რასაც, სავარაუდოდ, 7 სექტემბერსაც არ შეწყვეტს, როდესაც ვენეციელ ოქროს ლომებს გალიიდან გამოუშვებენ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

რიოს გუნდური კარნავალი

გუნდურობის თვალსაჩინო მაგალითი კი ძიუდოისტთა ნაკრებია, რომელიც ევროპისა თუ მსოფლიოს გუნდურ პირველობებში ყველას შიშის ზარს სცემს. ახლაც ასე იყო, რიო დე ჟანეიროს მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე, როდესაც საქართველოს ნაკრებმა უძლიერესის სახელი მოიხვეჭა, ამასთან, მესამედ (2006 წელს პარიზში, 2008 წელს ტოკიოში და ახლა რიოში). ამ მაჩვენებლით კი მხოლოდ ძიუდოს ფუძემდებლებს - იაპონიას ჩამოვრჩებით, რომლებსაც ერთით მეტი ოქრო აქვთ.

რაკი სტატისტიკა ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ორჯერ ავიდნენ ფრანგები, ერთხელ კი - რუსები.

რუსეთის ნაკრები რიო დე ჟანეიროს მსოფლიო გუნდურ პირველობაზე მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩავიდა. 2012 წელს სალვადორ დე ბაიას ტატამზე რუსებმა იაპონელებს მოუგეს. საქართველომ მაშინ მესამე ადგილი დაიკავა. დღეს კი 2006 წლის ფინალი განმეორდა: საქართველო VS რუსეთი. შედეგიც იგივეა - საქართველო ჩემპიონია! მთავარ დაპირისპირებათა ფინალებიდან ბუდაპეშტის წლევანდელი ევროპის გუნდური ჩემპიონატიც უნდა გავიხსენოთ, სადაც საქართველომ რუსეთს ჩემპიონობა არ დაანება.

ერთი სიტყვით, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა დუბლი შეასრულა. ჯერ ევროპაზე, მერე მსოფლიოზე და ორჯერვე ფინალში რუსების ძლევით, ერთი წლით ადრე კი სულაც მეტოქის ტატამზე - ჩელიაბინსკის ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე.

ასეთი მაჩვენებლების შემდეგ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები გაგახსენდება, რომელიც რუსეთს გასაქანს არ აძლევს, უგებს ყველგან - შინ, მეტოქის მოედანზე თუ ნეიტრალურ სტადიონზე.

გუნდური პირველობა რანგით პირადს ჩამორჩება, მაგრამ ეშხით, აზარტულობით, ემოციურობით განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს ნაკრების ჩემპიონობა საინფორმაციო საშუალებათა ჰედლაინად იქცა. სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ ჰედლაინერობას რუსეთის დამარცხებამაც შეუწყო ხელი. ეს კი პატარა ქვეყნის სინდრომია - მჩაგვრელზე გამარჯვებას ორმაგი ფასი აქვს, განსაკუთრებით მაშინ, თუ პრინციპულ მეტოქეთა შეხვედრა დრამატულობითაც გამოირჩევა.

პირველ ორ შეხვედრაში წაგების შემდეგ, როდესაც ოპტიმიზმი სადღაც მინავლდა, ირაკლი უზნაძის ნაკრებმა მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა და ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგო!

ყველაფერი კი ასე დაიწყო.

მსოფლიო გუნდურ ჩემპიონატში თექვსმეტი ნაკრები ასპარეზობდა. გასული წლებისგან განსხვავებით, გუნდების სამწვრთნელო შტაბებმა შემადგენლობები ძირითადად პირველი ნომრებით დააკომპლექტეს. მანამდე კი იყო კენჭისყრა, სადაც საქართველოს ნაკრებს არ გაუმართლა - მერვედფინალშივე ერთ-ერთ ფავორიტს, საფრანგეთს გადაეყარა...

საქართველოს ნაკრებმა წინასწარ შეხვედრებში საფრანგეთსა და მონღოლეთს მოუგო, ნახევარფინალში უზბეკეთიც მათ გზას გაუყენა, ფინალში კი რუსებმაც მათი ბედი გაიზიარეს.

საინტერესოა, რომ შეხვედრების დასაწყისი ტყუპისცალივით ჰგავდა ერთმანეთს - 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეტოქეები აღწევდნენ წარმატებას. ყველაზე უჩვეული კი ის არის, რომ ოთხიდან სამი შეხვედრა დათმო ოლიმპიურმა ჩემპიონმა და ევროპის ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა (ახლახან ტრავმამოშუშებული ჩემპიონისთვის ნაადრევი გამოდგა ასეთი რანგის ასპარეზზე გასვლა - აშკარად არ იყო ფორმაში და ფიზიკურადაც უჭირდა). იმ ერთში კი უზნაძემ ამირან პაპინაშვილს მისცა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ ასეთმა გადაადგილებამ არ გაამართლა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონობისკენ მიმავალ გზას ჩამორჩენით იწყებდნენ, უზნაძის შეგირდები ფსიქოლოგიურად არ გატყდნენ და სასურველ შედეგამდე მიდიოდნენ. ასე იყო საფრანგეთთან, რომელიც 3:2 მოიგეს. შედარებით უკეთესად იბრძოლეს მონღოლეთთან და უზბეკეთთან - 4:1, 4;1 მერე კი დრამატული ფინალის ჯერიც დადგა რუსეთთან.

გადამწყვეტი შეხვედრისთვის ირაკლი უზნაძემ პირველ წონაში ისევ შავდათუაშვილს უხმო, რომელსაც ალიმ გადანოვთან ჰქონდა ურთიერთობა გასარკვევი. ქართველმა ვერც ამჯერად იჭიდავა მისთვის ჩვეული მანერით და იუკო და ვაზარი მეტოქეს დაუთმო. რუსეთი 1:0 დაწინაურდა. რუსები მადაზე მოვიდნენ და ვირტუალურად ოქროს მედალიც შეიფერეს. საქართველოს ნაკრების მდგომარეობა მეორე შეხვედრაში უფრო დამძიმდა, როდესაც ზებედა რეხვიაშვილი (73 კგ.) მურად კოძოკოვთან დამარცხდა. არადა, შეხვედრის დასრულებამდე წუთ-ნახევრით ადრე ქართველმა რუსს ჯერ ვაზარი აართვა, შემდეგ კი - ორჯერ იუკო და როდესაც გვეგონა, რომ სტატუს კვო აღდგა, საბედისწერო შეცდომა დაუშვა და დიდი უპირატესობა მეტოქის მიერ შესრულებული იპონით უმალ გაანიავა.

რუსები წელში გაიმართნენ - საქართველოს პირველი ორი შეხვედრა მოუგეს, ჩემპიონობამდე კი ერთი მოგებაღა აშორებდათ.

ასეთ მდგომარეობაში, საფეხბურთოენით რომ ვთქვათ, შეხვედრის ბედის შემობრუნება ძალიან ძნელი იყო, ბევრისთვის წარმოუდგენელიც კი, მაგრამ...

დარჩენილმა ტრიომ - ჭრიკიშვილმა, ლიპარტელიანმა და ოქრუაშვილმა შეხვედრის ბედის შემობრუნება შეძლეს. მართალია, სამივემ გაფრთხილებით მოიგო, მაგრამ არც ეს იყო იოლი საქმე.

ჭრიკიშვილმა (81 კგ.) სირაზუდინ მაგომედოვს გასაქანი არ მისცა. საქართველომ პირველი მოგება მიითვალა. საქმეში ჩაერთო ლიპარტელიანი (90 კგ.). ენერგიულად შეუტია კირილ დენისოვს, მაგრამ საქმე ილეთამდე მაინც არ მისულა. ეს უფრო ნერვების თამაში იყო, ბრძოლა ქანცის გაწყვეტამდე, რომელიც, ჩვენდა გასახარად, ქართველის მოგებით დასრულდა 2:2. აი აქ ჩვენები მოვიდნენ მადაზე, რუსები კი უფრო დაიბნენ. საქართველომ ფინალი ამოქაჩა, ანგარიში გაათანაბრა და საქმე მეხუთე, გადამწყვეტ შეხვედრამდე მიიყვანა.

ტატამზე ორი მძიმეწონოსანი დადგა - ადამ ოქრუაშვილი და ტიტულოვანი ალექსანდრ მიხაილინი, რომელსაც პირად პირველობაში ერთი დღით ადრე ქართველმა მოუგო, მაგრამ ახლა საინტერესო იყო, ოქრუაშვილი კიდევ თუ შეძლებდა იგივეს (მანამდე მიხაილინთან ოქრუაშვილი ოთხჯერ დამარცხდა).

ქართველი გაფრთხილებებით დაწინაურდა, მერე კი პარტერში გაიყვანა მეტოქე და შებოჭა. რუსი გოლიათი დანებდა. ოქრუაშვილი მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

ჩემპიონატის მოგების შემდეგ რუსეთის ნაკრების წევრმა კირილ დენისოვმა სცადა, ქართველთა წარმატება დაეკნინებინა - ლიპარტელიანმა ფეხზე მიკბინაო.

„კაცმა რომ თქვას, კბენისთვის დისკვალიფიკაციით სჯიან, მაგრამ ახლა რა მოხდა, ვერაფერს გეტყვით. ამის შესახებ იმ ცისფერპიჯაკიან ბატონებს (ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მსაჯების ოფიციალური ფორმა) უნდა ჰკითხოთ, რომლებიც დარბაზში მუშაობდნენ, - „იტარ ტასთან“ საუბარში ლიპარტელიანი დაადანაშაულა დენისოვმა. - ჭიდაობისას მტკივნეულ ილეთს ვუკეთებდი, ვალერიმ კი, როგორც ჩანს, თავი ვერ შეიკავა... როდესაც მსაჯს ნაკბენი ადგილი ვუჩვენე, მან გაიღიმა და ბრძოლის გაგრძელება ბრძანა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

სხვათა შორის, შეხვედრის შემდეგ ლიპარტელიანი მოვიდა და ბოდიში მომიხადა“.

შეგირდს უბამს მხარს რუსთა ნაკრების მწვრთნელი დმიტრი მოროზოვი: „მათი (მსაჯების) ქმედება ამაზრზენია, სხვა რა უნდა ვთქვა?! მსაჯმა არც კი ისურვა ენახა, მართლა იყო ნაკბენი თუ არა. რომელ სამართლიან მსაჯობაზე შეიძლება იყოს აქ საუბარი?!“

დენისოვის თანაგუნდელი ალი გადანოვი კი იმუქრება: „რას ვიზამთ, რაკი ქართველები იკბინებიან, დღეის იქით გვეცოდინება - მსოფლიოს მომდევნო ჩემპიონატზე, რომელიც ჩელიაბინსკში გაიმართება, ამას გავითვალისწინებთ“.

საქართველოს ნაკრები:

ამირან პაპინაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი, ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან წიკლაური, ვარლამ ლიპარტელიანი, ნოდარ მეტრეველი, ადამ ოქრუაშვილი.

ძიუდო
მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი
რიო დე ჟანეირო
ვაჟები
1. საქართველო
2. რუსეთი
3. იაპონია
3. გერმანია

ქალები
1. იაპონია
2. ბრაზილია
3. საფრანგეთი
3. კუბა

P.S. საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები, ოფიციალურ დელეგაციასთან ერთად, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 4 სექტემბერს გამთენიას 03:20 წუთზე სტამბული - თბილისის რეისით ჩამოფრინდება

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საუქციონე კომისია გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მისაღებად აცხადებს ღია პირობიან აუქციონს

რეკლამის განთავსების ადგილია:

- ახმეტა-თელავი-ბაკურციხის ავტომაგისტრალის 65-ე კმ-ის პკ 3+80მ; სავარაუდო სარეკლამო ფართი - 2კვმ; საწყისი ფასი 4 (ოთხი) ლარი; ორმხრივი რეკლამა - 8 (რვა) ლარი; წლიური საიჯარო გადასახადი - 40 ლარი;

გარე რეკლამის განთავსების პირობები:

a) გარე რეკლამა არ უნდა ჰგავდეს საგზაო ნიშნებსა და მაჩვენებლებს;
b) არ გააუარესოს საგზაო ნიშნების, მაჩვენებლებისა და გზფ-ს ხილვადობა;
გ) არ შეუქმნას საფრთხე ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას;
e) იყოს კონსტრუქციულად მდგრადი;
v) არ გააუარესოს შენობა-ნაგებობების არქიტექტურული იერსახე;
ზ) გარე რეკლამის განთავსების ნებართვა განისაზღვროს არა უმეტეს სამი წლის ვადით;
თ) აუქციონში გამარგვებულმა სანებართვო მოწმობის მიღებასთან ერთად გააფორმოს საიჯარო ხელშეკრულება.

უქციონში მონაწილეობის წესი:

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი პრივატიზებისას 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში "მონაწილე") აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა)განაცხადს, შევსებულს დამტკიცებული ფორმის მიხედვით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, სავარაუდო სარეკლამო ბანერის ესკიზს, "ბე"-სა და ბილეთის ღირებულების დამადასტურებელ ქვითრებს, რომელიც შეიტანება ერთიან საბიუჯეტო ანგარიშზე, სახაზინო კოდზე - 30050-3282. "ბე"-ს სიდიდე განისაზღვრება საწყისი სანებართვო ფასის 30%-ით, "ბიჯი" - სარეკლამო ნებართვის განთავსების ღირებულების - 10%-ით, ბილეთის ღირებულებაა - 50 ლარი;

ბ)პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემებს;

გ)ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

დ)იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს;

ნებართვის აღების მსურველი აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში წარმოდგენილი დოკუმენტაცდიის რეგისტრაციის მომენტიდან, იღებს "მონაწილის ბილეთს" და ღებულობს "მონაწილის" სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია - სარეკლამო ბანერის განთავსებისათვის მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი ფასისა) გადახდა.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღება

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებები მიიღება 2013 წლის 3 სექტემბრიდან, 2013 წლის 2 ოქტომბერს 15 საათამდე.

აუქციონი გაიმართება 2013 წლის 2 ოქტომბერს 17 საათზე.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის მონაწილე, რომელიც სააუქციონე კომისიას შესთავაზებს ყველაზე მაღალ ფასს.

ნებართვის მფლობელი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული საბოლოო თანხა.

დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: ქ. გურჯაანი ნონეშვილის გამზირი N13, გამგეობის შენობის მესამე სართული, ოთახი N1.

ტელეფონი: 599852243

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საუქციონო კომისია

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ს.ს.ი.პ. „ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლა" აცხადებს საჯარო აუქციონს, პირობებით სსიპ ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხული, ჯავახიშვილის ქ. №66-ში (სკოლის I კორპუსი) და ბაგრატიონის ქ. №121-ში (სკოლის II კორპუსი) მდებარე სკოლის შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი №05/06/02/044 (სკოლის I კორპუსი) (საკადასტრო კოდი №05 26 02 004) (სკოლის II კორპუსი)) ფართებზე ,კერძოდ:

ლოტი №	დასახელება მისამართი	ოთახის ფართობი (კვმ)	მიწის ფართი (კვმ)	საწყისი წლიური საიჯარო საფასური (ლარი)	ბე (ლარი)	ბიჯი (ლარი)
ლოტი №1	ბაგრატიონის ქ.№121-ში მდებარე, სსიპ ,,ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლის" ძირითადი კორპუსის პირველ სართულზე არსებული 64,2 კვმ ფართის ოთახი (ბუფეტი) 24 საათიან რეჟიმში.	64,2	წილობრივი	2889	723	20
ლოტი №2	ჯავახიშვილის ქ. №66-ში მდებარე, სსიპ ,,ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლის" შენობის ძირითადი კორპუსის პირველ სართულზე მდებარე 50 კვმ ფართის ოთახი (ბუფეტი) 24 საათიან რეჟიმში.	50	წილობრივი	2250	563	20

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 2013 წლის 3 სექტემბრიდან 2013 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით, 10 სთ-დან 17 სთ-მდე სსიპ ქალაქ ბათუმის #10 საჯარო სკოლის პირველი კორპუსის №8 კაბინეტში.

აუქციონი გაიმართება 2013 წლის 13 სექტემბერს, 17 საათზე, ჯავახიშვილის ქ. #66-ში მდებარე, სსიპ ქალაქ ბათუმის #10 საჯარო სკოლის პირველი კორპუსის #8 კაბინეტში.

განცხადება

შპს"ჯიფაუერს" ესაჭიროება გაზოკომპრესორის რემონტი დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდით 2013 წლის 5 სექტემბრამდე მისამართზე - თბილისი, სანდრო ეულის N1, საკონტაქტო პირი - გივი ხვედაგურიძე ტელ: 577350077; E-mail: givi.khvedaguridze@energo-pro.ge

შპს "საქართველოს ტექნოლოგიურ-ჰუმანიტარული აკადემია", ბაკალავრიატის საფეხურზე, აცხადებს კონკურსს შემდეგი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად:

1. სრული პროფესორი

სასურსათო ტექნოლოგიის მიმართულებით - 2 ვაკანსია; ინფორმაციული ტექნოლო-გიების მიმართულებით - 1 ვაკანსია; ფილოლოგია - ქართული, უცხოური ენა და ლიტერა-ტურის მიმართულებით - 2 ვაკანსია; ეკონომიკის მიმართულებით - 1 ვაკანსია; მენეჯმენტის მიმართულებით - 1 ვაკანსია; მარკეტინგის მიმართულებით - 1 ვაკანსია; ფინანსების მიმარ-თულებით - 1 ვაკანსია; მათემატიკის მიმართულებით - 1 ვაკანსია; ტურიზმის მიმარ-თულებით - 1 ვაკანსია; ქიმია-ბიოლოგიის მიმართულებით - 1 ვაკანსია; აგრობიზნესის მარკეტინგის მიმართულებით - 1 ვაკანსია.

2. ასოცირებული პროფესორი

სასურსათო ტექნოლოგიის მიმართულებით - 2 ვაკანსია; ინფორმაციული ტექნოლო-გიების მიმართულებით - 1 ვაკანსია; ფილოსოფიის მიმართულებით - 2 ვაკანსია; სამართლის მიმართულებით - 1 ვაკანსია; ეკონომიკის მიმართულებით - 2 ვაკანსია; მათემატიკის მიმარ-თულებით - 1 ვაკანსია; ტურიზმის მიმარ-თულებით - 1 ვაკანსია; ქიმია-ბიოლოგიის მიმარ-თულებით - 2 ვაკანსია; აგრობიზნესის მარკეტინგის მიმართულებით - 1 ვაკანსია; ისტორიის მიმართულებით - 2 ვაკანსია.

3. ასისტენტ-პროფესორი

სასურსათო ტექნოლოგიის მიმართულებით - 3 ვაკანსია; ეკონომიკის მიმართულებით - 2 ვაკანსია;

აკადემიურ თანამდებობებზე ასარჩევი კანდიდატები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ:
- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
- ავტობიოგრაფია (CV);
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლები;
- შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლები;
- სალექციო კურსების ჩამონათვალი - სილაბუსები (ელექტრონულ ვერსიასთან ერთად); ასისტენტ-პროფესორებს სილაბუსები არ მოეთხოვებათ.
- ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული ნაშრომების სია;
- შრომის წიგნაკის ასლი, ან ცნობა უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან;
- ფოტოსურათი 3ფ4;

სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება; ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება; ასისტენტ-პროფესორად აირჩევა აკადემიური დოქტორი, ან დოქტორანტი.

საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2013 წლის 3 ოქტომბრიდან 19 ოქტომბრამდე.

კონკურსი ჩატარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არაუმე-ტეს 2 თვის ვადაში.

კონკურსის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეიძლება დარეკვა ტელეფონზე: 2 39 93 30.

კონკურსში გამარჯვებული აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნა და ხელშეკრულების გაფორმება მოხდება კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან 10 დღის ვადაში.

მისამართი: თბილისი, მ. თამარაშვილის ქ. 15ა;
ტელეფონი: 2 39 93 30; მობ. 595 25 97 00
ელექტრონული ფოსტა: satma.satma@mail.ru.

მოსამზადებელი ეტაპი საქართველომ ლიტვაში ლირსეული მატჩით დაასრულა

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი ციკლის ბოლო საკონტროლო მატჩი კაუნასში, ლიტვის ეროვნულ გუნდთან გამართა. კონტინენტის ერთ-ერთ საუკეთესო ნაკრებთან მატჩის ძირითადი დრო ქართველებმა ფრედ (77:77) დაასრულეს და დამატებით დროში (83:88) დამარცხდნენ.

მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერის, ლინას კლეიზას ზედიზედ ჩაგდებული 8 ქულის წყალობით მასპინძლები ოვერტაიმის დასრულებამდე 1,5 წუთით ადრე 86:79 დაწინაურდნენ და თითქოს გამარჯვებაც გაინაღდეს, მაგრამ კოკოშკოვის გუნდს კიდევ ერთხელ გაუჩნდა გათანაბრების შანსი. რიკი ჰიკმანმა, რომელმაც ძირითადი დროის დასრულებამდე 4 წამით ადრე 2 საჯარიმო ჩააგდო და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა, ექსტრახუთწუთეულის დასრულებამდე 4 წამით ადრეც გაუჩნდა ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ, სამწუხაროდ, იუბილარი ჰიკმანის სამქულიანი არაზუსტი აღმოჩნდა და ქართველების წაგება გარდაუვალი გახდა.

ლიტვას სამი ისეთი მოთამაშე ჰყავს, რომლებიც NBA-შიც ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებიან - იონას ვალანჩუნასი, ლინას კლეიზა და დონატას მოტეიუნასი. დანარჩენები ევროპაში ითვლებიან ექსტრაკლასის კალათბურთელებად და ეს ნაკრები ევრობასკეტის წინ ბოლო საკონტროლო მატჩს მშობლიურ „კაუნო არენაზე“ ატარებდა. სწორედ ამ შეხვედრაში იყოჩაღეს ქართველებმა და თითქმის უიმედო მატჩი (მესამე მეოთხედში 16 ქულით - 36:51 ვაგებდით) კინაღამ მოიგეს.

საქართველოს ნაკრებმა თამაში კარგად დაიწყო. მატჩის პირველი ბურთი ქართველებმა შესანიშნავი კომბინაციით ჩააგდეს. შერმადინმა გამოზომილი პასით ცინცაძე ფართან მარტო დატოვა. ქართველების დაწინაურებას ლიტველების ზედიზედ ჩაგდებული 7 ქულა მოჰყვა. იონას ვალანჩუნასმა სამწამიანში გაილაღა, თუმცა, იგორ კოკოშკოვის გუნდმა მალე მოახერხა დაწინაურება - ვიქტორ სანიკიძემ ზედიზედ 2 სამქულიანი ჩააგდო, რასაც ორიანიც მოაყოლა და საქართელო წინ გავიდა - 13:9.

ლიტველებმა წუთშესვენება აიღეს და ტაქტიკა შეცვალეს. მასპინძლებს შორი სროლები არ წაუვიდათ - მათმა სნაიპერმა ლინას კლეიზამ რამდენჯერმე ააცილა, თუმცა, გარღვევებით კუზმინსკასი გამოირჩა, ვალანჩუნასი კი პერიოდულად ფარქვეშ გაიბრწყინებდა ხოლმე. მასპინძლებმა მაინც მოახერხეს ის, რომ პირველი მეოთხედი არ წაგეს. ბოლო წამებზე ჩაგდებულ ორქულიანს პლუს ჯარიმით პირველ შესვენებაზე ლიტველებმა ფრე დაფიქსირეს - 19:19.

მეორე პერიოდში მასპინძლებმა თავიანთი თამაში იპოვეს. შორი სროლებიც წაუვიდათ და საჯარიმოშიც მოუხშირეს შესვლა-ჩაგდებას. რამდენიმე წუთში ლიტველები უკვე 29:21 იგებდნენ, მაგრამ გიორგი შერმადინის მოედანზე დაბრუნების შემდეგ ქართველებმა შედეგიანობას უმატეს და მასპინძლებს 28:31 მიუახლოვდნენ. მერე კი „ტორონტო რეპტორზის“ ცენტრის - იონას ვალანჩუნასის დრო დადგა, რომელიც დაცვაში შეუდარებელი იყო, შეტევაში კი შემჩერებელი არ გამოუჩნდა. მისი წყალობით ლიტველებმა პირველი ტაიმის ბოლო წუთები შედეგიანად ჩაატარეს და დიდ შესვენებაზე 12-ქულიანი უპირატესობოთ გავიდნენ.

მესამე პერიოდის დასკვნითი 5 წუთი ქართველებისთვის გმირული აღმოჩნდა. ჩინებული კომბინაციებით, გააზრებული შეტევით და მწყობრი დაცვით კოკოშკოვის გუნდმა 22:6 (!) მოუგო ლიტვას და მესამე მეოთხედის ბოლოს ჩამორჩენა 1 ქულამდე შეამცირა - 59:60. გადამწყვეტი პერიოდი სულაც არ გამოდგა გადამწყვეტი, რადგან შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ დასრულდა. დიდებულად გაისარჯნენ საქართველოს ნაკრების ლიდერები გიორგი ცინცაძე, გიორგი შერმადინი, მანუჩარ მარკოიშვილი და, რა თქმა უნდა, ვიქტორ სანიკიძე, რომელიც 28 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა. რიკი ჰიკმანს შეეძლო ძირითად დროში მოეგებინებინა ქართველებისთვის, მაგრამ მისი გარღვევა, რომელიც ლიტველებმა ჯარიმით შეაჩერეს, ბურთის ჩაგდებით არ დასრულდა, თორემ ნატურალიზებული ამერიკელი კიდევ ერთ საჯარიმოსაც ისროდა, მაგრამ... მის ჯარიმებს ზემოთ ნახსენები ექსტრახუთწუთეული მოჰყვა, სადაც მასპინძლებმა მაინც თავისი გაიტანეს.

კოტე ტულუში: „ლიტვასთან თამაშით კმაყოფილები ვართ„

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა კაუნასში ლიტვასთან ბოლო საკონტროლო მატჩი გამართა და დამატებით დროში - 83:88 დამარცხდა. საქართველოს ნაკრებმა 16-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის დამარცხებასთან ახლოს იყო, მაგრამ მასპინძლებმა დამატებით დროში მცირე სხვაობით იმარჯვეს. მატჩის შემდეგ კაუნასში ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელს კოტე ტულუშს დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით.

- მიუხედავად იმისა, რომ დავმარცხდით, გუნდის თამაშით კმაყოფილი ვართ. ვხვდებოდით ნაკრებს, რომელიც ყველა რგოლში ძლიერია და მომავალ ევროპის ჩემპიონატზე მედლის მოგების სამართლიანი ამბიცია აქვს. ლიტვა თავისი ქომაგების წინაშე თამაშობდა და როგორც ჩვენთვის, მათთვისაც ეს ბოლო მოსამზადებელი მატჩი იყო. ცხადია, ძალიან უნდოდათ მოგება. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე მოსამზადებელ ციკლში ლიტველებმა მხოლოდ ერთი მატჩი წააგეს, ისიც ბერძნებთან.

- იყო ეპიზოდი, როცა 16 ქულით აგებდით, თუმცა, გათანაბრება მოახერხეთ. რისი დამსახურება იყო ეს?

- ვერ ვიტყვი, კონკრეტულად დაცვის, შეტევის ან რომელიმე მოთამაშის დამსახურება იყო-მეთქი. გაიხსენეთ სერბეთთან მატჩი, როცა სწორედ 16-18 ქულით ვაგებდით და ჩამორჩენა ხომ გავაბათილეთ, საბოლოოდ მოვიგეთ კიდეც ის მატჩი. ახლაც თითქმის ასე მოხდა. მეორე ტაიმში ჩვენი გუნდი ბევრად ჯობდა ლიტვას და ბოლოს რომ ვერ მოვიგეთ, შემთხვევითობის, გამართლების საქმე იყო. შეიძლებოდა ყველაფერი პირიქით დასრულებულიყო. ამას არ ვაქცევთ ყურადღებას. თამაში ოვერტაიმში გადავიყვანეთ, თუმცა, საბოლოოდ დავმარცხდით. სასიამოვნოა, როცა გუნდი ასეთი ბრძოლისუნარიანია და, სოლიდური ჩამორჩენის მიუხედავად, არ ტყდება.

- სათადარიგოებზე რას იტყვით?

- მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ მატჩში ძირითადად სასტარტო ხუთეულის წევრები დაიტვირთნენ, ეს არ ნიშნავს, რომ სათადარიგოების იმედი არ გვაქვს. მათ სლოვენიაშიც მოუწევთ თამაში და იმედი მაქვს, იქ ისეთი სიტუაცია არ შეგვექმნება, რომ დიდი ჩამორჩენის გაბათილება მოგვიხდეს. გუნდის ყველა წევრი მზადაა, ნაკრებს წარმატების მიღწევაში დაეხმაროს.

- ლიტვასთან მატჩი, რომელიც ბოლო საკონტროლო შეხვედრა იყო ევროპის ჩემპიონატამდე, საქართველოს ნაკრებისთვის ერთ-ერთი საუკეთესო გამოდგა. ნიშნავს ეს, რომ ნაკრები ოპტიმალურ ფორმაშია?

- ნაკრები კარგ ფორმაშია, თუმცა, მჯერა, რომ სლოვენიაში უფრო გულიანად და შემართებით ითამაშებენ. დღეს ძირითადის წევრები შედარებით მეტად დაიტვირთნენ და გადაიღალნენ კიდეც. სამ დღეში თამაში გვაქვს და ძალებს აღიდგენენ. ევროპის ჩემპიონატზე მძიმე გრაფიკია, თითქმის ყოველდღეა თამაში, მხოლოდ ერთ დღეს ვისვენებთ. მთავარია ფორმა შეინარჩუნონ, ენერგია ოპტიმალურად გადაანაწილონ.

- ბოლოს რიკი ჰიკმანზე გკითხავთ, რომელმაც დღეს, გადამწყვეტ მომენტში, ორჯერ აიღო თავის თავზე თამაში. ასე იყო ისრაელში მოგებულ მატჩშიც...

- ჰიკმანი დიდებული შემსრულებელია. სხვათა შორის, დღეს მისი დაბადების დღეა, რასაც თქვენი საიტითაც ვულოცავ. ძირითადი დროის დასრულებამდე სამი წამით ადრე მან ორი საჯარიმო ჩააგდო, თუმცა, ოვერტაიმის ბოლო წამებზე გამთანაბრებელი 3-ქულიანი ვერ ჩააგდო. თამაშის შემდეგ თქვა, არა უშავს, სლოვენიაში აუცილებლად ჩავაგდებო.

ბრეუსის თასი „ლიგამუსი თბილისს„ დარჩა

ბათუმის იახტკლუბმა 29 აგვისტოდან 1 სექტემბერის ჩათვლით, ცნობილი წყალბურთელის პეტრე ბრეუსის სახელობის იუნიორ წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა, სადაც საქართველოს, მოლდოვისა და სომხეთის კლუბმა მიიღეს მონაწილეობა.

ტურნირი საქართველოს საწყლოსნო სახეობების ფედერაციის, ბათუმის მერიისა და აჭარის წყალბურთის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა.

თასის გათამაშებაში საუკეთესო გუნდის სახელი თბილისის ლიგამუსს მოიპოვა.

საბურნირო მდგომარეობა კი ასე გამოიყურება:

1. ლიგამუსი თბილისი
2. ბათუმი 1
3. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები
4. მოლდოვა

5-6. სომხეთი, ქუთაისი 1

7-8. ქუთაისი 2, ბათუმი 2

ნომინაციებში გამოვლენილი საუკეთესო მოთამაშეები:

ტურნირის საუკეთესო მოთამაშე: ნიკა ცანკაშვილი (ახალგაზრდული ნაკრები)

საუკეთესო ბომბარდირი: 16 გოლით ზურაბ ჩაგუნავა (ბათუმი)

საუკეთესო მეკარე: ირაკლი სიხარულიძე (ბათუმი)

საუკეთესო ნახევარმცველი: მალცევი ნიკიტა (მოლდავეთი)

ყველაზე სასარგებლო მოთამაშე: ღავთაძე გიორგი (ახალგაზრდული ნაკრები)

საუკეთესო თავდამსხმელი: გვენცაძე მიხეილ (ქუთაისი)

ყველაზე პატარა მონაწილე: კირიაკიდი ანრი (ქუთაისი)

მაყურებელთა სიმპატიის პრიზი: მეკონიანი აიკ (სომხეთი)


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 საათი
allMovies.ge
Pink